სპორტი

სპორტული გაზეთი პარასკევი 13 ივნისი 2008 №134 (3358) ფასი 50 თეთრი

ადრიატიკის მარმარილოსავით მტკიცე ჭადრაკში მოგებულია ხორვატია ფეხბურთშიც მოგებულია

ადამიანი კიდევ უფრო სწრაფია

თითქოს რა არის წამის მეასედი, არადა, მსოფლიოს რეკორდია!



გუშინ ახალი მსოფლიოს რეკორდი დამყარდა 110 მეტრზე თარჯრბ-ენში.

რეკორდის ავტორი გახლავთ კუბელი მძლეოსანი დაირონ რობლესი, ვინაც ეს მანძილი 12,87 წამში გადალახა და წამის მეასედით გააუ-მჯობესა ძველი მიღწევა. ძველი რეკორდი კი ეკუთვნოდა ჩინელ სიან ლიუს და ორი წლის წინ ჰქონდა დამყარებული ლოზანაში.

ხოლო 21 წლის რობლესმა ახალი რეკორდი ჩეხურ ოსტრავაში და-ამყარა.

„დიდებულია, ამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო — თქვა კუბელმა — ახლა სიან ლიუს პეკინის ოლიმპიადაზე შევხვდები და ვეცდები, იქ პირისპირ შეხვედრისასაც ვაჯობო.“

ცქიტიშვილის ლოკომოტივი საბოლოოდ დასრულდა



„ოლიმპიკთან“ თავი რატი ალექსიძემ (მარჯვნივ) გამოიჩინა

ერთი კვირაც და, „ლოკომოტივი“ ინტერტოტოს თასზე ლუქსემბურგულ „ეტცელას“ შეხვდება.

რამდენიმე დღეა, გიორგი კიკნაძემ ორჯერად ვარჯიშებზე გადაიყვანა გუნდი, გუშინ კი ტესტ-მატჩიც გაიმართა პირველლიგელ „ოლიმპიკთან“. შეხვედრა 1:1 დასრულდა.

პირველ ნახევარში უმაღლესლიგელები უფრო მეტად აკონტროლებდნენ ბურთს, თუმც საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. 70-ე წუთზე კი „ოლიმპიკმა“ პენალტი მოინადირა და რევაზ ლვინიაშვილმა თავისი გუნდი დააწინაურა. ბოლო წუთებზე „ლოკომოტივმა“ თამაშს უმატა და 81-ე წუთზე რატი ალექსიძემ თავისივე წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა ზუსტად დაარტყა — 1:1.

„ლოკომოტივმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

ბათიაშვილი (დგებუაძე 76), სარალიძე (ქუხილავა 46), ფარულავა (გ. კვახაძე 46), გუშარაშვილი (ლ. ჩაგელიშვილი 46), დ. ფოფხაძე (ა. კობიაშვილი 46), ზ. ჩხეტიანი (ლ. გრიგალაშვილი 59), ჩირიკაშვილი (მიქაძე 63), ი. სამხარაძე (კაჭახიძე 46), გულორდავა (აფხაზავა 46), დ. ჩაგელიშვილი (ბახტაძე 65), ალექსიძე.

ამ მატჩში ტრავმის გამო არ უთამაშია ვიტალი დარასელიას, თუმც „ეტცელთან“ აუცილებლად იქნებაო, გვითხრა გიორგი კიკნაძემ.

საბოლოოდ გამოირიცხა ლევან ცქიტიშვილის საინტერტოტოოდ დარჩენა, მას სხვა გეგმები აქვს. გუნდი დატოვა მეორე მეკარე ომარ მიგინეიშვილმაც.

შეგახსენებთ, რომ „ლოკომოტივს“ ცოტა ხნის წინ მიხეილ ალავიძეც დაემშვიდობა.

კვლავ გასარკვევია გიორგი ქუცურუას საკითხი.

კიკნაძე ტესტ-მატჩს კიდევ გეგმავს — 16 ივნისს საქართველოს მოყვარულთა ნაკრებს გააჯიბრებს შეგირდებს, 19-ში კი „ლოკომოტივი“ ლუქსემბურგში გაემგზავრება.

ნუკრი ლოლაძე

კაიდარაშვილი კარიერის ზღვარზე

საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში თავდამსხმელი ალექსანდრე კაიდარაშვილი ახალციხის „მესხეთში“ თამაშობდა, მერე კი თბილისის „ლოკომოტივს“ მიაშურა, თუმც მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და დედაქალაქელებს ველარ დაეხმარა.

30 წლის კაიდარაშვილმა, ფეხბურთს რომ დაუბრუნდეს, მუხლზე რთული ოპერაცია უნდა გაიკეთოს. ამის შემდეგ ერთი წელი რეაბილიტაციას სჭირდება.

სამწუხაროა, მაგრამ ალბათ ალექსანდრე კაიდარაშვილი კარიერას დაასრულებს...

ნუკრი ლოლაძე

სარბიელელები თანავუგრძნობთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ შალამბერიძეს
მამის
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ შალამბერიძეს
მამის
გარდაცვალების გამო

ბრაზილია
თასი. ფინალი
საპასუხო მატჩი
რესიფე 2:0 (1:3) კორინთიანსი

ფინეთი
ვეიკაუსლიგა
IX ტური
ლაჰტი 4:1 ტურკუ

საერთო აზრით, ალექსანდრე ჩივაძის შემდეგ გინდ საბჭოთა კავშირის, გინდ რუსეთის ნაკრებს მისი ნახევარი კლასის მცველიც კი აღარ ჰყოლიათ. 10 ივნისს, ესპანეთთან მატჩში კი რუსთა დაცვა მართლაც საშინელ დღეში იყო. რუსული „სპორტ-ექსპრესი“ თბილისის „დინამოსა“ და სსრკ-ის ნაკრების ყოფილ კაპიტანს ესაუბრა...

ალექსანდრე ჩივაძე: მწყინს და მრცხვენია რუსეთის დაცვის გამო

— საბჭოთა კავშირში ყოველთვის იყვნენ მსოფლიო დონის მცველები და რაც მე ესპანეთთან მატჩში ვნახე, გული ჩამწყდა. ეს რაღაც წარმოუდგენელია! ესპანელები თავისუფლად ატყუებდნენ მცველებს, თანაც, ცენტრალურ მცველებს — იმ ამპლუის ფეხბურთელებს, რომლებიც წესით, ლიდერები უნდა იყვნენ. როგორც საბჭოთა საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელს, მეწყინა და მრცხვენოდა კიდეც.

— რომელმა მცველმა ითამაშა ყველაზე ცუდად?

— კოლოდინი და შიროკოვი, მგონი, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შეცდომებში. პოზიციურ შეცდომებზე აღარაფერს ვლაპარაკობ, ისინი სრულ თავისუფლებას აძლევდნენ თავდამსხმელებს, თითქოს ბაგა-ბაღის ბავშვები იყვნენ. გაიხსენეთ ესპანელთა პირველი გოლი — შიროკოვმა ტორესს სივრცე დაუთმო, მერე თითქოს წამოეწია, მაგრამ თუ პირველკლასელი ბავშვივით მოიქცეოდა, რაღა აზრი ჰქონდა სირბილს? შიროკოვი მესამე გოლისასაც ასე შეცდა, ოღონდ, ამჯერად ტორესის ნაცვლად უფროსკლასელად ვილია მოევლინა. თუნდაც ვილიას მეორე გოლი ავიღოთ, როცა ინიესტას პასმა ორ მცველს შორის გაიარა.

— ფლანგელმა მცველებმა, ჟირკოვმა და ანიუკოვმა უკეთ ითამაშეს. ასე არ არის?

— დიახ, ისინი აქტიურები იყვნენ, განსაკუთრებით კი ჟირკოვი.

— რას ურჩევდით რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ გუს ჰიდინკს?

— პირველ რიგში, დაცვის ცენტრის თამაში უნდა გამოასწოროს. ეს ფუნდამენტია და აქედან იწყება ნებისმიერი გუნდის შენება. ცენტრალური მცველები დიდი პატივისცემით უნდა სარგებლობდნენ, ხოლო როცა ისინი სასაცილონი ხდებიან, ტრაგედიაა.

— ესე იგი, ქირურგიული ჩარევაა საჭირო?

— ჰიდინკის დარ დიდ მწვრთნელს რეკომენდაციას ვერ მივცემ. ერთი ვიცი, რომ მომდევნო მატჩში რუსეთმაც და საბერძნეთმაც ბედი შეტევაში უნდა ეძებონ. თუმც წინ გაქცევა არ შეიძლება, როცა უკანა ხაზის მოშიშვლების შიში გაქვს. მით უმეტეს, ბერძნებს ჰყავთ ხარისტეასი, რომელსაც შეუძლია, ვილიაზე და ტორესზე არანაკლები საფრთხე შექმნას.

— ქირურგიულ ჩარევაში სხვა რამ ვიგულისხმეთ: დაცვაში ძმები ბერეზუცკების და იგნაშევიჩის დაყენება. როგორ ფიქრობთ, ცსკას მცველთა სამეული შედარებით საიმედო იქნება?

— იგნაშევიჩი არცთუ დიდი ხნის წინ საუკეთესო რუს მცველად ითვლებოდა. იმედია, მისი და ბერუზუცკის სამსახური ნაკრებს ამ ჩემპიონატზეც გამოადგება, თუმც გადაწყვეტილებას ჰიდინკი იღებს.

მე ჩამოვიყვან მარადონას
ნიკო პატარქალიშვილი: დიეგოს საქართველო უნდა

ნიკო პატარქალიშვილს უკვე იცნობს ქართველი საფეხბურთო თემი: ამ კაცის მეშვეობით „ბორჯომში“ რამდენიმე არგენტინელი ფეხბურთელი გამოჩნდა, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო მართლაც მაგარი, დანარჩენებზე კი, რა გითხრათ... პატარქალიშვილის კავშირებით ჩამოვიდა შარშანწინ საქართველოს ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ურუგვაი.

ოქტომბრის ბოლოს კი, პატარქალიშვილის თქმით, დიდი დიეგო მარადონა ჩამოვა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, იმ პრესკონფერენციაზე გადავიდეთ, რომელიც გუშინ ბატონმა ნიკომ ეროვნულ სტადიონზე გამართა...

პატარქალიშვილი: მარადონას ჩამოყვანის პროექტზე, დიდი ხანია, ვმუშაობთ, მაგრამ ხორცშესხმა წლეულს ოქტომბრისთვის გადავწყვიტეთ. თუ ყველაფერი კარგად იქნება, თბილისში გაიმართება ოთხთა ტურნირი, რომელშიც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გარდა, ბრაზილიისა და არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრებებიც ითამაშებენ. მეოთხე გუნდი ვინ იქნება, ჯერ არ ვიცით. სავარაუდოდ, ევროპის რომელიმე კლუბს მოვიწვევთ...

...ტურნირს „დიეგო მარადონას თასი“ დაერქმევა. თვითონ მარადონა არ ითამაშებს, იგი მატჩებს დაესწრება. ტურნირის ჩატარება 23-30 ოქტომბერსაა დაგეგმილი. გვინდა, ყველა შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე გაიმართოს...



...გადაწყვეტით გეტყვით, რომ ფინანსურის გარდა, ყველა საკითხი მოგვარებულია. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციიდან სფფ-ში მოვიდა ფაქსი, არგენტინელებსაც და ბრაზილიელებსაც აინტერესებთ, რამდენს გადაიხდის მასპინძელი ქვეყანა მათ ჩამოსვლაში. ჰონორარის გარეშე ისინი არსად არ დადიან და სულაც არ აინტერესებთ, რომ საქართველოს ეკონომიკურად უჭირს...

...მე მქონდა საუბარი „ფოლკსვაგენის“ წარმომადგენლებთან, ასევე „ნოკიასთან“. მათგან დაინტერესება აშკარაა და ერთადერთი, რაზეც ეჭვი შეეპარათ, მართლა ჩამოვა თუ არა მარადონაო...

...იმედია, „ფოლკსვაგენიც“ და „ნოკიაც“ არ დაიშურებენ ფულს, რათა ეს ჩინებული პროექტი განხორციელდეს. შესაძლოა, ტურნირზე „ფოლკსვაგენის“ მანქანები და „ნოკიას“ ტელეფონებიც გათამაშდეს...

... გეცოდინებათ, არგენტინაში ტალანტთა პროგრამით 11 ქართველი ფეხბურთელია წასული, ისინი იქ ემზადებიან და ორ მათგანს, ხვიჩა მურღულიასა და ვასილ აფციაურს, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გავუწევთ რეკომენდაციას. ისინი ტურნირისთვის მოემზადებიან, მაგრამ ნაკრებში მოხვდებიან თუ არა, ცხადია, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია.

შემდეგ პატარქალიშვილმა თავისი მობილური ტელეფონი ამოიღო და არგენტინაში დაურეკა დიეგო მარადონას წარმომადგენელ ალეხანდრო მანკუზოს — ჩვენ გასაგონად ესაუბრა საქართველოზე და ალეხანდრომ გადმოგვცა, დიეგო მარადონას აინტერესებს საქართველო, ის მზადაა, ჩამოვიდესო...

ილია ნანობაშვილი



ლომიძე კარპატიში

მოლდოვური „ზიმბრუს“ მარცხენა მცველი მამუკა ლომიძე, სავარაუდოდ, უკრაინის უმაღლეს ლიგაში გააგრძელებს კარიერას. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი ლვოვის „კარპატიში“ ჯერ მხოლოდ ისინჯება, თუმც თუ გავითვალისწინებთ, რომ კარპატელებს ახალი მწვრთნელი ოლეგ კონონოვი ჰყავთ, ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილად შეიძლება ჩათვალოს.

რომ არ დაგაბნიოთ: კონონოვი შარშან და შარშანწინ მოლდოვურ „შერიფს“ წვრთნიდა და მამუკას შეძენა ძალიან უნდოდა, თუმცა „ზიმბრუმ“ ჩვენიანი არ გაუშვა.

„კარპატში“ ქართველთაგან ბოლოს გიორგი ლომაია თამაშობდა, თუმც სულ ორიოდ თვით: კიევის „დინამოსთან“ 3:7 წაგების მერე ლვოვური გუნდისა და ლომაიას გზები გაიყარა.

ილია ნანოგაშვილი

სპასოევიჩი ბელგრადში დაწვა

რას იტყვის რაინერ ცობელი?

ბურთს ფარავს ალექსანდრ ჭანტურია

თბილისის „დინამოსა“ და ჩერნოგორიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა ილია სპასოევიჩმა თიაქარის ოპერაცია გაიკეთა და ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადის.

„დინამოს“ ლეგიონერი თავიდან გერმანიაში აპირებდა სამკურნალოდ წასვლას, მაგრამ საბოლოოდ სერბეთის ნაკრების ექიმის ხელში აღმოჩნდა და თავს იქვე, ბელგრადში მიხედა.

სპასოევიჩი, ვინც „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელის, დუშან უჭრინის მუშაობისას გუნდის ერთ-ერთი დამრტყმელი ძალა იყო, თიაქარის ტკივილმა წინა სეზონის ბოლოსკენ შეაწუხა და თავისიანებს ჩემპიონობისთვის გადამწყვეტ მატჩებში ვეღარ დაეხმარა. თუმც კი, არსად წასულა და თანაგუნდელებს ტრიბუნიდან ქომაგობდა.

სეზონის დამთავრების შემდეგ „დინამოს“ ფორვარდი სამშობლოში გაემგზავრა, როგორც ვთქვით, ოპერაციაც გაიკეთა და უახლოეს დღეებში გუნდსაც დაუბრუნდება.

ცნობისთვის: თბილისის „დინამომ“ მზადება უკვე დაიწყო და დღეს-ხვალ უკვე ახალი მწვრთნელი, გერმანელი რაინერ ცობელიც ჩამოვა, რომელიც პირადი საქმეების მოსაგვარებლად შინ ორიოდ დღით გაემგზავრა.

ცობელი „დინამოს“ დღევანდელ შემადგენლობას ორი-სამი კვირა შეხედავს და მერე იტყვის, გუნდს რომელ სათამაშო პოზიციებზე სჭირდება გაძლიერება...

ან იქნებ არც თქვას...

კოგა ინასარიძე

ვის უნახავდით ლადოს?

ლატვიის ჩემპიონატში ლადო დვალიშვილმა იყოჩაღა. პრინციპულ მატჩში 86-ე წუთზე გადამწყვეტი გოლი შეაგდო — „სკონტომ“ 1:0 მოუგო ლიდერ „ვენტსპილსს“, სადაც ზურაბ მენთეშაშვილმა 81 წუთი ითამაშა და ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო.

დვალიშვილი 82-ე წუთზე შევიდა მინდორზე და 4 წუთში გაიტანა საჯარიმოს გარედან ძლიერი დარტყმით. კიდევ ერთი სკონტოელი დავით გამეზარდაშვილი სათადარიგო იყო, ზაალ ელიავა კი განაცხადშიც არ იყო.

„ვენტსპილსი“ ლიდერად დარჩა. „სკონტო“ კი მესამეზეა. რიგელებს ორი მატჩით ნაკლები აქვთ ჩასატარებელი და 7 ქულას აგებენ.

ილია ნანოგაშვილი

სამ-სამი წლით ზესტაფონში

ფრიდოლინი და ჩასემი გაოფიციალურდა

„ზესტაფონმა“ ბაკურიანში პირველი შეკრება მოილია და ახლა თბილისშია. 14 ივნისს იმერლები ურეკში მეორე შეკრებას გეგმავენ.

„სარბიელის“ მკვითხველს კარგად მოეხსენება, რომ ბოლნისის „სიონის“ კამერუნელი ფეხბურთელებისა, ბოიომო ფრიდოლინისა და ერიკ რომეო ჩასემის „ზესტაფონში“ ჩარიცხვა დღეების საქმე იყო. მართლაც, სამედიცინო შემოწმების შემდეგ ფრიდოლინიმ და ჩასემმა იმერულ კლუბთან 3-3-წლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი.

ახალი ლეგიონერები გუნდთან ერთად ვარჯიშს დღე-დღეზე შეუდგებიან.

„ზესტაფონს“ დაუბრუნდნენ ბრაზილიელი ფეხბურთელები, ჟილვან ვიეირა და ჟონატას ტორესიც. რაც შეეხება გაბონელებს, პოლ კესანს და ეტიენ ბიიტოოს, ისინი თავიანთი ქვეყნის ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თამაშობენ და, სავარაუდოდ, „ზესტაფონს“ ამ თვის ბოლოს შეუერთდებიან.

ნუკრი ლოლაძე

იქვე, ევრო-2008-სთან ახლოს

გიორგი შაშიაშვილი: ავსტრიას საქართველოც მოუგებს

გიორგი შაშიაშვილი (მარცხნივ) „შტურმში“ ლადო ბურდულსაც ელის

გრაცის „შტურმში“ უკვე ორი ქართველია და ვინძლო, მესამეც მალე ვიხილოთ. გიორგი შაშიაშვილსა და სულ ახლახან გაშტურმელებულ ილია კანდელაკს, შესაძლოა, ლადო ბურდულიც დაემატოს, რითაც თბილისის „დინამოს“ ექსფეხბურთელთა ტრიო შეიკვრება — ივო შუშაკის დინამოურ პერიოდში სამივენი გუნდის წამყვანი ფიგურები იყვნენ. „კანდელაკი ძალიან კარგად მიიღეს. ცხადია, იგი უკვე გუნდთან ერთადაა და ვნახოთ, რა გადაწყდება ბურდულის საკითხზე. ამ დღეებში „შტურმის“ ხელმძღვანელობა კლუბის ბიუჯეტის დამტკიცებას ელოდება და ამ ტრანსფერის ამბავიც გაირკვევა, სხვა ქართველი ფეხბურთელებიც აინტერესებდა „შტურმს“, თუმც როგორც ვიცი, ყველაზე რეალური ბურდულია“ — გვითხრა შაშიაშვილმა. „შტურმი“ ინტერტოტოს თასისთვის ავსტრიაშივე ემზადება. „ვალსის“ ქვეყანაში კი ამ დღეებში ყველაზე საინტერესო რაც ხდება, ყველამ იცის... ჰოდა, შაშიაშვილსაც ევრო-2008-ის ამბები ვკითხეთ...

— ადგილი, სადაც შეკრებას გავდივართ, ახლოსაა ავსტრიის იმ ოთხივე ქალაქთან, სადაც ჩემპიონატის მატჩები იმართება. სასწაული აჟიოტაჟია, ყველა თამაშის მერე ვხედავთ გახარებულ და დაღონებულ გულშემატკივრებს. ყველაზე ხმაურიანად ჰოლანდიელმა და შვედმა ფანებმა იზეიმეს.

— ხულიგნობები არ ხდება? თუმცა ნაკლებად იქნება, რადგან ინგლისი არ არის ჩემპიონატზე...

— ხულიგნობა იმდენად არა, მაღაზიების ვიტრინები არ ჩაუმტვრევიათ და არაფერი მსგავსი, თუმც იტალიელები დათვრნენ და ჰოლანდიასთან მატჩის მერე არ მოისვენეს, ყურთასმენა ჰქონდათ წაღებული, გამუდმებით რაღაცას ყვიროდნენ. ჯერ მაინც ადრეა — გადამწყვეტი მატჩები არ მოსულა. აი, მერე და მერე კი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს პოლიცია.

— შენ რომელიმე მატჩს თუ დაესწარი?

— ჯერ ვერა. რამდენიმე მატჩზე ალბათ მოვახერხებ წასვლას თანაგუნდელებთან ერთად. ჯერჯერობით, მხოლოდ ტელევიზორით ვკმაყოფილდებით.

— რას იტყვი ამ ჩემპიონატზე, რა სიახლეები დაინახე?

— ძალიან მაღალი დონის მატჩები რომ არის, ლაპარაკიც არ უნდა. ყველას აზრით, სანახაობრივად კარგი ჩემპიონატია. უკვე რამდენიმე ლამაზი თამაში ვნახეთ და ჯერ ყველაფერი წინაა.

— ვის გულშემატკივრობ?

— საერთოდ, იტალიის ქომაგი ვარ, მაგრამ რაც ჰოლანდიამ ითამაშა, ზღაპრული ფეხბურთი ჰქვია. ძალიან ძლიერია პორტუგალია და ჩემი აზრით, ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. ყოველ შემთხვევაში, ფინალამდე უნდა მიაღწიოს. ფეხბურთელებიდან კი ყველაზე მეტად ლუკაშ პოდოლსკი, დავიდ ვილია, მიხაელ ბალაკი და ზლატან იბრაჰიმოვიჩი მომეწონენ. კრიშტიანუ რონალდუმაც კარგად ითამაშა და დარწმუნებული ვარ, მოუმატებს.

— ავსტრიელი გულშემატკივრები ცუდ ხასიათზე იქნებიან...

— პირველი თამაში წააგეს და გასახარი არაფერი აქვთ, მაგრამ მათი და ჩემი აზრითაც, ავსტრიამ ხორვატიასთან მოსალოდნელზე კარგად ითამაშა. მეორე ტაიმში მეტოქეს წაართვეს უპირატესობა, ცოტაც და, გოლს გაიტანდნენ, მაგრამ... კლასი მაინც გადამწყვეტია: ავსტრია ძალიან სუსტია. არ გადავაჭარბებ და, საქართველოს ნაკრები ავსტრიაზე ძლიერია. მგონია, რომ შევხვდეთ, მოვუგებთ.

— ესე იგი, ავსტრიელებს ჯგუფიდან გასვლის იმედი აღარ აქვთ?

— იმედი აქვთ, განსაკუთრებით გერმანიასთან თამაშს ელიან მოუთმენლად, მაგრამ მანამდე პოლონეთთან აქვს შეხვედრა და ჩემი აზრით, ხვალვე დააშთავრებენ ჯგუფიდან გასვლაზე ოცნებას — პოლონეთმა კარგად ითამაშა გერმანიასთან და გამიკვირდება, ავსტრიელებს რომ ვერ მოუგოს.

ილია ნანოგაშვილი

WELL, VERY WELL...
შერმადინის დრაფტი 15 ივნისს გადაწყდება



დადგება თუ არა გიორგი შერმადინი დრაფტზე? ეს კითხვა ტრევიზოში გამართული კემპის შემდეგ უფრო აქტუალური გახდა. იტალიის ამ ქალაქში ჩატარებულმა კემპმა, რომელსაც ნბა-ს ყველა გუნდის სკაუტი და ევროპელი სპეციალისტები ესწრებოდნენ, შერმადინისთვის ისე დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაიარა, როგორც ქართველი გულშემატკივარი ისურვებდა. მიზეზი კუნთების დაჭიმულობაა, რომელიც შერმადინს მომქანცველი მგზავრობის შემდეგ დაემართა. მიუხედავად ამისა, მან მაინც კარგად წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები და როგორც გიორგის აქაური მწვრთნელი ჯამლეტ ხუხაშვილი ამბობს, ყველა სპეციალისტის მოწონება დაიმსახურა. ხუხაშვილი გუშინ დაბრუნდა ტრევიზოდან და ჩვენც იქაური ამბები გამოვკითხეთ

— გიორგი ამიერიკიდან ტრევიზოში რომ ჩასულიყო, 15-საათიანი ფრენა მოუხდა. ამ ხნის განმავლობაში ის, ფაქტობრივად, გაუნძრევლად იჯდა და კუნთებიც დაეჭიმა. მის მენეჯერ ტოდ რამასარს სურდა, რომ ბიზნესკლასის ბილეთი აეღო, რათა შერმადინს უფრო კომფორტულად ემგზავრა, მაგრამ ეს არ გამოუვიდა. ყველა ბილეთი გაყიდული იყო და საბოლოოდ უარყოფითი შედეგიც მივიღეთ.

— გამოდის, შერმადინმა ტრავმით ითამაშა ტრევიზოს კემპზე?

— მთლად ტრავმა არ ჰქონია, მაგრამ დაჭიმული კუნთები ხელს უშლიდა და მან თავისი შესაძლებლობების მხოლოდ 70 პროცენტი წარმოაჩინა.

— ესე იგი, კემპმა არადამაკმაყოფილებლად ჩაიარა...

— მთლიანობაში გიორგიმ დადებითი შთაბეჭდილება დატოვა და ყველა სპეციალისტი, ვინც მისი თამაში ნახა, მხოლოდ ამას ამბობდა: „ველ, ვერი ველ". ანუ ყველა კმაყოფილი იყო.

— თქვენ თუ ხართ კმაყოფილი?

— მე, რა თქმა უნდა, უფრო მეტ რეზონანსს ვისურვებდი გიორგისთვის, რადგან ყველაზე კარგად ვიცი მისი შესაძლებლობები. შერმადინმა კარგად ჩაატარა ვარჯიშებიც, თამაშებიც, შედეგიანადაც ისროდა, მაგრამ ერთმა რამემ ძალიან დამწყვიტა გული. არის ასეთი ვარჯიში, როცა საჯარიმოს მისადგომების 5 წერტილიდან ბურთს 5-5-ჯერ ესვრი. გიორგი თბილისში 25-დან ყველას აგდებდა, ჰა-ჰა, 2-3 აეცილებინა, ისიც იშვიათად. ჰოდა, როცა ამ ვარჯიშზე მიდგა ჯერი, მეგონა, მისი დროც დადგა. ვფიქრობდი, რომ სროლების ბოლოს ის სპეციალისტთა ტაშს დაიმსახურებდა, მაგრამ მან 25-დან მხოლოდ 15 ჩააგდო. ეს შედეგი ზოგადად ცუდი არ არის, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ შერმადინს მეტი შეუძლია და ამიტომ დამწყდა გული.

— ინტერნეტში ბევრი კარგი დაიწერა შერმადინზე, თუმცა იყო უარყოფითი შეფასებებიც. მაგალითად ის, რომ ასაკი აქვს გადაკეთებული. თურქ ახალგაზრდებთან სპარინგისას კი რამდენიმე კრიტიკული შენიშვნაც დაიმსახურა...

— ასაკი ქართველების და არა მარტო ჩვენი აქილევსის ქუსლია. დაწყებული ზაზა ფაჩულიადან, თითქმის ყველა ქართველზე და ბერძენზე ამბობენ, რომ ასაკი აქვთ გადაკეთებულიო, მაგრამ შერმადინს ამას არ ედავებიან. არ ვიცი, ვინ იყო ის ბოღმიანი ჟურნალისტი, რომელმაც ტრევიზოში ეს თქვა, მაგრამ ყველა ხედავს, რომ შერმადინს ჯერ წვერიც არ ამოსვლია წესიერად და ის ყოველ წელს სიმაღლეში იზრდება...

... რაც შეეხება თურქებთან პაექრობას, ვერ ვიტყვი, რომ ერდენმა და აჩიკმა შერმადინი დაჩაგრეს. თურქები გიორგიზე გამოცდილები არიან, ისინი წამყვან თურქულ გუნდებში თამაშობენ. აჩიკი სულაც „ფენერბაჰჩეს" ძირითადი ცენტრია. ვარჯიშებზე შერმადინმა მათ ტოლი არ დაუდო, მატჩისას კი გიორგის სუსტი თანაგუნდელები შეხვდა და მარტო ვერაფერს გახდა. თუმცა ქულებს არავინ აქცევდა ყურადღებას. სპეციალსტები სხვა სათამაშო კომპონენტებს უფრო აკვირდებიან და ამაში გიორგიმ საკმაოდ დიდი მოწონება დაიმსახურა.

— ბოლოს მთავარი კითხვა: იდგება თუ არა შერმადინი 27 ივნისის დრაფტზე, თუ განაცხადის გამოტანას აპირებთ?

— ეს 15 ივნისს გადაწყდება. თუკი ტოდ რამასარმა პირველ რაუნდში არჩევის გარანტია არ მიიღო რომელიმე კლუბისგან, განაცხადს გამოვიტანთ. მეორე მომენტიცაა — ასეთი გარანტია არ არის საიმედო. შეიძლება, დაგპირდნენ და მერე არ აგიყვანონ. ამიტომაც დაფიქრებაა საჭირო. ეს ძალიან ძლიერი დრაფტია და პირველ წრეში ალბათ 3 ევროპელზე მეტს არ აირჩევენ. ამავდროულად, ნბა-ს კლუბთა წარმომადგენლები გვპირდებიან, თუკი წლეულს განაცხადს გაიტანთ, გარანტიას გაძლევთ, მომავალ დრაფტზე შერმადინს პირველ თხუთმეტეულში აირჩევენო. თან ესპანური და სხვა ევროპული კლუბებიც მზად არიან, გიორგი აიყვანონ, სადაც ის კიდევ უფრო დაიხვეწება. მოკლედ, ვნახოთ, შერმადინის დრაფტზე დადგომა 15 ივნისს გადაწყდება.

ირაკლი პერტაია



სერია მეათე. 1987
ლეიკერსი 4:2 სელტიქსი
ეპოქის დასასრული

ლარი ბერდი და მეჯიქ ჯონსონი

1986 **წლის** ფინალმა „ლეიკერსის" გარეშე ჩაიარა — მისი მძლეველი „ჰიუსტონი" საჩემპიონო სერიაში 4:2 დაამარცხა „სელტიქსმა" (მეხუთე თამაშში ისეთი საშინელი ჩხუბი ატყდა, ნბა-ს ისტორიას რომ არ ახსოვს). მაგრამ მეჯიქ ჯონსონი და მისიანები 1987 წელს დაბრუნდნენ ფინალში.

მეჯიქი პირდაპირ დაფრინავდა. მისი პასები ყველგან ატანდა, ნებისმიერ დაცვას შლიდა და აბნევდა, ისეთ მოძრაობებს აკეთებდა, მისი მოწინააღმდეგეები წონასწორობას კარგავდნენ და იქცეოდნენ. საოცრებაც ის იყო, რომ ის გამთამაშებლის კვალობაზე არანორმალურად მაღალი გახლდათ — „როგორ ახერხებს 206-სანტიმეტრიანი გოლიათი ბურთის ასე ტარებას?" — ეს კითხვა აწვალებდა ყველას. 1986-87 სეზონში ის საშუალოდ 23,9 ქულასთან ერთად 12,2 პასსაც აგროვებდა და სეზონის უძვირფასეს მოთამაშედაც დაასახელეს. ოსკარ რობერტსონის (1964) შემდეგ პირველად მიაგეს ეს მაღალი პატივი უკანახაზელს.

„ლეიკერსს" ისედაც არ აკლდა ნიჭიერი შემსრულებლები. ეგაა, ქარიმ აბდულ-ჯაბარი შემოაბერდა — იმ წელს 40-ისა მოიყარა და მეჯიქის სასწაულებრივი თამაშით გუნდი პრაქტიკულად შეუჩერებელი გახდა. რომელიღაც გუნდის მწვრთნელს აღმოხდა — ეგენი კოსმოსურ კალათბურთს თამაშობენ, მსგავსიც კი არაფერი მინახავსო.

„კოსმოსელებმა" რეგულარულიც ტრიუმფით მოიგეს და პლეი ოფშიც დასავლეთში ყველას კომეტასავით ჩაუქროლეს. ბადის მეორე ნახევრიდან კი ფინალისკენ ისევ და ისევ ლარი ბერდის „სელტიქსი" მიიწევდა, მაგრამ ცოტა მძიმედ და არა „ლეიკერსივით" შხუილით. „ბოსტონს" ძველი სუპერხუთეული ჰყავდა — დენის ჯონსონი, ეინჯი, ბერდი, მაკჰეილი, პერიში — მაგრამ სათადარიგოები ვერ უვარგოდა და ვარსკვლავები ძალიან გადაღლა რეგულარულში. წამოვიდა ტრავმები. პლეი ოფშიც გაწვალდნენ — „მილუოკისთან" და „დეტროიტთან" შვიდ-შვიდი თამაში დასჭირდათ.

და დადგნენ ერთმანეთის პირისპირ ძველი მეტოქეები. მეჯიქი და მისი რაზმი უპირობო ფავორიტები იყვნენ. პირველი თამაშის მარტო პირველ ტაიმში 35 ისეთი სწრაფი შეტევა გააკეთეს, რომ ბოსტონელები ხშირ შემთხვევაში თვალის გაყოლებასღა ახერხებდნენ. მეჯიქს 29 ქულა, 13 პასი და 8 მოხსნა მოუგროვდა, თანაც ერთხელაც არ გაუკარგავს ბურთი. მას კარგად აჰყვა მსუბუქი ფორვარდი ჯეიმს უორსიც (33 ქულა) და „ლეიკერსმა" პირველი შეხვედრა 126:113 მოიგო.

„მეჯიქს რამე უნდა მოვუხერხოთ" — ამაზე ფიქრით იძინებდნენ და იღვიძებდნენ ბოსტონელები და მეორე თამაშში „ჯადოქარს" თითქოს დაადებინეს ჯოხი, მაგრამ ახლა მისი შემცვლელი მაიკლ კუპერი გამოხტა — მან მეორე მეოთხედში ექვსი სამქულიანი ჩააგდო, გააკეთა გუნდის 20-ვე ქულა ამ პერიოდში და პირადად მოუგო „ბოსტონს" 20:10. შეხვედრა კი „ლეიკერსის" კიდევ უფრო შემაშფოთებელი უპირატესობით დასრულდა — 141:122.

ბოსტონში გამართულ მესამე ჯახში „სელტიქსმა" დაცვაში თავი მოიკლა და „ლეიკერსს" მეორე თანრიგის ვარსკვლავები ჩაუქრო. მთელი სიმძიმე მეჯიქს (32 ქულა) და ბებერ ქარიმს დააწვათ. ბერდმა 30 ქულა გააკეთა და „სელტიქსს" ბოლო წუთზე მოაგებინა დაძაბული თამაში. „ბოსტონის" ლიდერს ჭირის დღესავით ეჯავრებოდა ჩივილი და მრავალი წლის განმავლობაში თითქმის არასდროს გამოუვლენია სისუსტე. ახლა კი აღიარა, ძალიან მეშინოდა, ეს თამაშიც რომ წაგვეგო და 0:3 ჩამოვრჩენილიყავით, მერე ფინალს ალბათ 0:4 წავაგებდითო.

„კელტებს" ერთმა მოგებამ მხნეობა შემატა, ისინი მეოთხეში ტვირთმოხსნილები ათამაშდნენ და თითქმის ეს შეხვედრაც მოიგეს — ბოლო წამებზე 106:105 წინ იყვნენ, მაგრამ მეჯიქმა „ზეციურ კაუჭად" წოდებული ილეთით ჩაუგდო გადამწყვეტი ბურთი. სამაგიეროდ ბოსტონელებმა მეხუთე შეხვედრა პირწმინდად მოუგეს ასევე დაღლილობაშეპარულ ლოსანჯელესელებს. „დიახ, ისინი გახდებიან ჩემპიონები, მაგრამ ბოსტონში ხომ მაინც არ ვაზეიმეთ" — ასეთი იყო საერთობოსტონური განწყობა (მესამე, მეოთხე და მეხუთე მატჩები ბოსტონში გაიმართა)

„ლეიკერსი" აშკარად უფრო მძლავრი იყო და ჩემპიონობა მეექვსე თამაშის 106:93 მოგებით, საკუთარ დარბაზში გაიფორმა. ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ, ცხადია, მეჯიქ ჯონსონი დასახელდა.

ეს იყო ლარი ბერდის და მეჯიქ ჯონსონის მესამე და უკანასკნელი ჯახი. „სელტიქსი" და „ლეიკერსი" კი ერთმანეთს სულ ათ ფინალში შეერკინნენ. პირველი რვა ბოსტონელებმა მოიგეს, ბოლო ორი კი ლოსანჯელესელებს დარჩათ. შემდგომში „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" კიდევ შვიდჯერ გავა ფინალში და მათგან ოთხს მოიგებს, აი, „ბოსტონ სელტიქსი" კი ღრმა კრიზისში ჩავარდება, საიდანაც წლეულსღა გამოვიდა, ბოლო 21 წელიწადში პირველად დავიდა ფინალში და... ისევ „ლეიკერსი"!

21 წლის წინ კი ლარი ბერდი იტყვის — „მეჯიქი დიადი მოთამაშეა, საუკეთესო, ვის წინააღმდეგაც მე მითამაშია. 85-ში მაგარი გუნდი ჰყავდათ და კიდევ უკეთესი 84-ში. მიკვირს, პირველად როგორ ვერ მოგვიგეს."

ირაკლი ფირაშვილი

ვალვერდეს კარგი რეპეტიცია

ალეხანდრო ვალვერდე

ისეთი პირი უჩანს, „კაის დეპარნის“ ესპანელი მრბოლი ალეხანდრო ვალვერდე წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ უმთავრესი ფავორიტი იქნება. 28 წლის ვალვერდე, კარგა ხანია, ველოელიტაში ტრიალებს და პოსტარმსტრონგულ წლებში მუდმივად მიიჩნევა „ტურის“ ფავორიტთა შორის, თუმცა 2006 წელს ზედახორაში მოჰყვა და ფრანგული სუპერრბოლა ვერ დაასრულა, ხოლო შარშან უიმედოდ ჩამორჩა გამარჯვებულს, მეორე ესპანელ ალბერტო კონტადორს.

წლეულს კონტადორი „ტურზე“ არ იქნება, რადგანაც ფრანგებმა ესპანელის გუნდი, ყაზახურ-ლუქსემბურგული „ასტანა“ შარშანდელი დოპინგ-სკანდალების გამო რბოლაში არ მიიწვიეს და თავად ვალვერდე კი ისეთ ფორმაში ჩანს, ეტყობა, სწორედ ახლა აპირებს ველოსპორტის ევერესტად მიჩნეული „ტურ დე ფრანსის“ დაპყრობას.

ყოველ შემთხვევაში, „ტურის“ გენერალურ რეპეტიციად მიჩნეულ „კრიტერიუმ დოფინი ლიბერეზე“ ვალვერდე აშკარად ყველას სჯობს და მესამე ეტაპზე, ინდივიდუალურ რბოლაში გამარჯვების შემდეგ გენერალურ კლასიფიკაციასაც ლიდერობს.

მანამდე ალეხანდრომ მესამე შედეგი აჩვენა 5,6-კილომეტრიან პროლოგში, შემდეგ პირველი ეტაპი მოიგო და მეორე ეტაპზეც, რომელიც „ჰაი როადის“ ამერიკელის ჯორჯ ჰინკეიპის გამარჯვებით დასრულდა, მოწინავეთა შორის იყო.

ინდივიდუალური რბოლა სენ პოლში ჩატარდა. საკმაოდ აღმართ-დაღმართიანი ტრასის სიგრძე 31 კილომეტრი იყო. თანაც წვიმდა, ნისლი იყო და მრბოლებს ურთულეს პირობებში მოუწიათ შეჯიბრი. ვალვერდემ ეს გზა 44 წუთსა და 59 წამში დაფარა და 19 წამით აჯობა პროლოგის მომგებ ამერიკელ ლევი ლეიფემერს. მესამე ადგილზე ესპანელთან 20-წამიანი ჩამორჩენით შარშანდელი „ტურის“ მეორე პრიზიორი, „ლოტოს“ ავსტრალიელი კედელ ევანსი გავიდა, ვინც, სავარაუდოდ, წლევანდელ „დიდ მარყუჟზე“ ვალვერდეს უმთავრესი კონკურენტი იქნება.

გენერალურ კლასიფიკაციაშიც ეს სამეული ლიდერობს — ვალვერდე ლეიფემერსა და ევანსს, შესაბამისად, 23 და 37 წამით უსწრებს.

დანაშაული და სასჯელი



ჯგუფურ რბოლაში მსოფლიოს ექსჩემპიონი, შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ საუკეთესო სპრინტერი, ბელგიური „ქვიკ სტეპის“ ლიდერი ტომ ბოონენი რამდენიმე დღის წინ კოკაინის მოხმარებაში ამხილეს და შედეგმაც არ დააყოვნა — ბელგიელი წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“ ვერ გამოვა და არ არის გამორიცხული, ორწლიანი დისკვალიფიკაციითაც დაისაჯოს.

ბოონენს კოკაინის კვალი 26 მაისს აღებულ ანალიზში აღმოაჩნდა. მანამდე, აპრილში, ბელგიელმა მეორედ მოიგო ურთულესი და უპრესტიჟულესი ერთდღიანი კლასიკული რბოლა „პარიზი-რუბე“.

ზოგადად, კოკაინის ერთჯერადი მიღება დოპინგად არ ითვლება, მაგრამ ბოონენი ადრეც იყო შემჩნეული ამ ნარკოტიკის სიყვარულში და ახლა მას ამ ყველაფრის გამო პასუხის გაცემა მოუწევს.

„საქმე დოპინგში არ არის. ეს კერძო შემთხვევაა. ბოონენის საქციელი, ეს „ტურ დე ფრანსის“ რეპუტაციაზე მიყენებული დარტყმაა და ამის გამო პასუხი უნდა აგოს“ — განაცხადა ფრანგული სუპერრბოლის დირექტორმა კრისტიან პრიუდომმა.

მომხდართან დაკავშირებით, ბოონენმა პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: „თავის დაცვას არ ვაპირებ. მე საშინელი ტკივილი მივაყენე ჩემს ოჯახს, მეგობრებს, გუნდს და ამის გამო უდიდეს სინანულს განვიცდი. ვაღიარებ ჩემს დანაშაულს და მივიღებ ყველაფერ იმას, რაც ამ ამბავს მოჰყვება“.

ლუის ჰემილტონი
უნასიათობას არ უჩივის

შავი და წითელი

კანადის დიდ პრიზზე მომხდარი კურიოზული ავარია გემახსოვრებათ — ბოქსებიდან გამოსვლისას „მაკლარენის“ შავკანიანმა ინგლისელმა ლუის ჰემილტონმა შუქნიშნის წითელი ფერი ძალიან გვიან რომ შენიშნა და შუქნიშანზე გაჩერებულ კიმი რაიკონენის „ფერარის“ შეასკდა. ამ ავარიის შედეგად ჰემილტონიცა და რაიკონენიც გამოეთიშნენ რბოლას, ხოლო გამარჯვება „BMW-ზაუბერის“ პოლონელ რობერტ კუბიცას დარჩა, რომელიც იმ ეპიზოდში რაიკონენის გვერდით იდგა.

იქიდან გამომდინარე, რომ ჰემილტონმა გაუფრთხილებლობა გამოიჩინა, რბოლის სტიუარდებმა ბრიტანელი მომავალი, ფრანგული ეტაპისთვის ათი სასტარტო პოზიციით დაჯარიმეს, ანუ ლუისი კვალიფიკაციაში მოპოვებულზე ათი ადგილით უკან მყოფი დაიწყებს რბოლას.

ჰემილტონი ამ გადაწყვეტილებას არ აპროტესტებს, თუმც უსამართლოდ მიიჩნევს და ამის მიუხედავად ფიქრობს, რომ მაინც აქვს საფრანგეთის დიდი პრიზის მოგების შანსი.

„მე მჯერა საკუთარი თავის. ვფიქრობ, შევძლებ საფრანგეთში გამარჯვებისთვის ბრძოლას. ჩემი სამუშაოს არსი ხომ სწორედ ამაში არის. საჭიროა გჯეროდეს, რომ შეგიძლია ამის გაკეთება და გჯეროდეს შენი გუნდის — განაცხადა ჰემილტონმა და დაამატა — როგორღაც ვგრძნობ, რომ შეგვიძლია ვიბრძოლოთ მინიმუმ სამეულში მოსახვედრად, მიუხედავად იმისა, რომ ეს ურთულესი გასაკეთებელი იქნება. მონრეალური ინციდენტი ნამდვილად არ არის ჩემი კარიერის უცუდესი მომენტი. უბრალოდ, ეს კიდევ ერთი გამოცდა იყო, რომელიც უნდა ჩააბარო“.

დაახლოებით იგივე აზრი გამოთქვა ჰემილტონის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა თაყვანისმცემელმა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ჯეკი სტიუარტმა. „ლუისი, უკვე, თითქმის სრულყოფილი პილოტია, მაგრამ თითქმის არ ითვლება და ისიც სათქმელია, რომ აინშტეინებად არ იბადებიან. შეუძლებელია, საბავშვო ბაღიდან ერთბაშად უნივერსიტეტში მოხვდე. გავა სამი-ოთხი წელი, ლუისი უკან მოიხედავს და მიხვდება, თუ რა დონის პილოტი იყო 2007 და 2008 წლებში“ — ბრძანა ლეგენდარულმა შოტლანდიელმა.

ქაჩა ლომაძე

რენოს სტრატეგიული შეცდომა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო მიიჩნევს, რომ კანადაში მოგება შეეძლო, მაგრამ გუნდმა ცუდი სტრატეგია აირჩია და ამის გამო დაკარგა უნიკალური შანსი.

„ის, რაც ჰემილტონსა და რაიკონენს მოუვიდათ, ანომალიური მოვლენა იყო და ასეთი რამ ყოველდღე აღარ განმეორდება. აქედან გამომდინარე, ჩვენ დავკარგეთ უნიკალური შანსი, „BMW-ზაუბერის“ მანქანებთან ტოლ-სწორად რომ გვეომა — განაცხადა „რენოს“ მრბოლმა და იქვე განმარტებაც გააკეთა — როდესაც უსაფრთხოების მანქანა გამოჩნდა, ტრასაზე უნდა დავრჩენილიყავი. არადა, პიტ-სტოპზე შესვლა მირჩიეს, რაზედაც ორჯერ ვიკითხე, დარწმუნებულნი თუ იყვნენ ამ სტრატეგიის სისწორეში. მითხრეს, რომ ეჭვიც არ ეპარებოდათ თავიანთ არჩევანში. შემდეგ კი ისე მოხდა, რომ ბოქსებიდან გამოსული ჰაიდფელდის უკან აღმოვჩნდი. მაშინვე მივხვდი, რომ მე მართალი ვიყავი და ამ შეცდომამ შესაძლო გამარჯვება დაგვაკარგვინა“.

ქაჩა ლომაძე


ფერნანდო ალონსო

ოქროს კაცები და ბრინჯაოს ქალები

იტალიის ქალაქ სალსომაჯიეროში 6-9 ივნისს გამართულ მსოფლიოს თასზე (WAKO-ს ეგიდით) ქართველმა კიკბოქსიორებმა 2 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ დავით ჯავახია (71 კგ) და გიგა კორძაძე (75 კგ), ქალებში კი ბრინჯაოს მედლები ელენე ბოლაშვილმა (56 კგ) და სოფო ქავთარაძემ (65 კგ) ირგუნეს. საპრიზო ხუთეულში მოხვდნენ ია ინასარიძე (60 კგ) და იოსებ დანელია (63 კგ). აღსანიშნავია, რომ დავით ჯაფარიამ რამდენიმე ორთაბრძოლა და მათ შორის ფინალი ნოკაუტით მოიგო, ხოლო გიგა კორძაძემ მძიმე ოპერაციის შემდეგ პირველად იბრძოლა და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

გეტყვით იმასაც, რომ კიკბოქსინგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ სერიოზულ კონტროლზეა აყვანილი და ეს სახეობა ოლიმპიადის კანდიდატ სახეობათა შორის განიხილება. იტალიის მსოფლიოს თასზე კი 60-მდე ქვეყნის 2000 სპორტსმენი გამოვიდა. ამ რაოდენობის მონაწილეთა შორის ქართველთა შედეგი ნამდვილად სოლიდურად გამოიყურება.

შემდეგი მნიშვნელოვანი გამოცდა ქართველ კიკბოქსიორებს სექტემბერში ელით, როდესაც სეული მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს.

ზურაბ მიგრიაული

გლდანში პეკინელები გაირკვევიან

გლდანში, ჯემალ ცერცვაძის სახელობის დარბაზში საქართველოს ჩემპიონატი მიმდინარეობს ძალოსნობაში. ტურნირზე 15 რეგიონის 150-მდე სპორტსმენი მონაწილეობს. შეჯიბრება 8 წონით კატეგორიაში იმართება. ტურნირი, გარდა 56, 62, 69, 77, 85, 94, 105 და მძიმე წონით კატეგორიებში ჩემპიონ-პრიზიორების გამოვლენისა, პეკინის ოლიმპიადაზე წამსვლელთა ვინაობასაც გაარკვევს. აღსანიშნავია, რომ ქართველთაგან სამი ძალოსანი მიემგზავრება ჩინეთში. ამ სამიდან 96 კგ-ში მოასპარეზე არსენ კასაბიევი აუცილებლად წავა ოლიმპიადაზე, დანარჩენი ორი ადგილისთვის ბრძოლა კი ამჟამად მიმდინარეობს.

გუშინ, ჩემპიონატის პირველ დღეს, 56 და 62 კილოგრამ წონით კატეგორიებში გამოირკვა ჩემპიონპრიზიორები. 56 კგ-ში ქუთაისელმა გიორგი ლომთაძემ აჯობა ყველას. მან ჯამში 225 კგ მოაგროვა (ატაცში — 100 ეგ ასწია და აკვრაში — 125 კგ). მეორე ადგილზე გასული ზუგდიდელი გიორგი საჯაია გვარიანად ჩამორჩა ჩემპიონს. საჯაიამ ჯამში 167 კგ დააგროვა. ბრინჯაოს მედალს დაეუფლა აჭარელი ზვიად ფუტკარაძე. მისი ჯამური შედეგი 162 კგ გახლავთ.

62 კილოგრამ წონით კატეგორიაში უძლიერესი გახდა დედოფლისწყაროელი ზვიად სამუკაშვილი, ვის ანგარიშზეც ჯამში 237 კილოგრამია (ატაცი 102, აკვრა 135 კგ). მეორე ადგილს აჭარელმა ვაჟა ქავთარაძემ უწია. მან 235 კგ-ს მოუყარა თავი. მესამე ადგილზე ასევე აჭარელი ზაზა ფუტკარაძე გავიდა. მისი ჯამური შედეგი 225 კგ იყო.

ზურაბ მიგრიაული

თურქების კავკასია

გუშინწინ და გუშინ „კავკასიის ტურის" მეორე და მესამე ეტაპები გაიმართა. შეჯიბრების მეორე დღეს თბილისი — წითელი ხიდი — სოფელ გამარჯვების მარშრუტზე თურქმა სპორტსმენებმა იმარჯვეს. პირველ ადგილზე ნაზიმ ბალცირიცი გავიდა, მეორემ ფინიშის ხაზი ექიფ კარაგობეკმა გადაკვეთა, ხოლო მესამე ოჰან შაჰინი იყო.

მესამე ეტაპზე წრიულ რბოლაში, რომელიც მცხეთის გარშემო მიმდინარეობდა, ისევ თურქებმა იძალეს. პირველი ადგილი ორხან შაჰინმა დაიკავა — 2.01,02. მას მეასედი წამებით ჩამორჩა სელჩუკ ტუგსტონი. მესამე ადგილს კი ქართველმა გიორგი ნადირაძემ უწია — 2.01,03.

გუნდურ ჩათვლაში თურქი ველომრბოლები დამაჯერებლად ლიდერობენ. მეორე პოზიციაზე ქართველები არიან, ხოლო მესამეზე — აზერბაიჯანელები.

დღეს „კავკასიის ტურის" ბოლო, მეოთხე ეტაპი გაიმართება. რბოლა კრიტერიუმში, რომელიც მუხიანში მოეწყობა, მრბოლები 20 წრეს გაივლიან. თითო წრე ორი კილომეტრის სიგრძისაა და საერთო ჯამში თითოეულ ველოსიპედისტს 40 კილომეტრი გამოუვა.

ზურაბ მიგრიაული

კორტებს ბალახის სუნი აუვიდა

ჩოგბურთელებმა წლის მეორე სლემტურნირის მოლევა ვერ მოასწრეს, რომ უკვე მომდევნო დიდი საჩოგბურთო ფორუმისთვის მზადების დაწყება უწევთ — საუბარი უიმბლდონზეა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ლონდონური მეიჯორისთვის მზადება განსაკუთრებულ დატვირთვას მოითხოვს, რაც ახალ საფართან შეგუებას გულისხმობს, გასაგები ხდება, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაში არიან მეჩოგნეები.

ეს არავის მოსწონს და ჩოგბურთელებიც კარგა ხანია წუწუნებენ იმაზე, თუ რატომ იმართება ეს ორი დიდი ტურნირი თითქმის ერთმანეთს მიყოლებით. მაგრამ რახან ATP სათამაშო გრაფიკში ცვლილებების შეტანას ჯერ არ გეგმავს, მეჩოგნეებს წელზე ფეხების დადგმის მეტი არაფერი დარჩენიათ და ასე რომ, უიმბლდონისთვის მზადება ოფიციალურად დაწყებულია.

ამ კვირის ტურნირებიდან ყურადღების ცენტრში ინგლისურ ქუინზში მიმდინარე ტრადიციული შეჯიბრია — აქ ჩასვლა არ ითაკილეს მსოფლიოს მეორე-მესამე ნომრებმა, რაფაელ ნადალმა და ნოვაკ ჯოკოვიჩმა. აქვე არიან ჯანზე მოსული ენდი როდიკი და ლეიტონ ჰიუიტიც, რაც უახლოეს დღეებში რამდენიმე საინტერესო ჯახის ხილვის შანსს გვაძლევს.

ბალახზე პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა ხუთიოდ დღის წინ მიჯრით მეოთხე „როლან გაროსის" მომგებმა ნადალმა, რომელსაც იონას ბიორკმანთან შეხვედრაში არც ეტყობოდა, ახალ საფარზე თუ თამაშობდა. ესპანელმა ჯადოქარმა ისევე ჩაითამაშა ეს საათ-ნახევარი, როგორც ამას საფრანგეთში ორი კვირის განმავლობაში აკეთებდა და გამოცდილ შვედს შანსიც კი არ დაუტოვა — 6:2 6:2.

„ცოტა უცნაური შეგრძნება იყო, რადგანაც ბალახზე ვარჯიში ერთიორჯერ თუ მოვასწარი. თუმც პირველი შეხვედრისთვის, მგონი, ნორმალურად გამოვიყურებოდი" — კმაყოფილი იყო ნამატჩევს ნადალი, რომელსაც მეოთხედფინალის საგზურისთვის იაპონელი კეი ნიკიშორი შეეცილება.

იმარჯვა ჯოკოვიჩმაც, ოღონდ სერბმა ძალით გაირთულა როკო კარანუსიჩთან საქმე და მეორე სეტი ტაიბრეიკამდე მიიყვანა. ხორვატს შეეძლო, ჯოკოვიჩისთვის მეტი პრობლემებიც შეექმნა, რადგანაც სეტ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ სერბმა ისედაც გაჯანჯლებული საქმის კიდევ უფრო გაწელვა არ ინება და კარანუსიჩი ტურნირიდან დაითხოვა — 6:2 7:6.

აი, როდიკი კი უკვე მეოთხედფინალშია — იანკმა გზად ორი თანამემამულე ჩამოიცილა და თუ რობი ჯინეპრიმ ენდი-ბიჭს დიდი ომი გაუმართა, მარდი ფიშმა მალევე გამოფინა თეთრი დროშა, რადგანაც ტრავმის გამო სეტზე მეტი ვერ გაძლო კორტზე.

ენდი როდიკი

გერმანულ ჰალესკენ ყურადღება მხოლოდ როჯერ ფედერერის გამოა მიპყრობილი — შვეიცარიელი უიმბლდონისთვის მზადებას ტრადიციულად აქ გადის ხოლმე და ნირი არ წლეულს იცვალა. ეტყობა, შვეიცარიელმა მთლიანად ამოიგდო მეხსიერებიდან ნადალისგან პარიზში მიღებული ალიყური და ჯერჯერობით ჰალეში ძალიან დამაჯერებლად ჩოგნაობს. ალპელმა უკვე ორი წრე გაიარა და ადგილობრივი მიხაელ ბერერის შემდეგ მასტერ კლასი ჩეხ იან ვაცეკსაც ჩაუტარა.

იმ მეჩოგნეთა ნაწილი კი, რომლებიც თიხნარს ვერაფრით შელევიან, ამ კვირაში ვარშავაში პაექრობენ. იქაური ამბებიდან პირველ ნომერ ნიკოლაი დავიდენკოს გამარჯვება გამოვყოთ, რომელმაც რის ვაი-ვაგლახით დაამარცხა ირჟი ვანეკი — 4:6 7:5 6:1. რუსმა პოლონეთში ორი წლის წინ იხეირა, ოღონდ მაშინ ტურნირი სოპოტში იმართებოდა. უშუალოდ ვარშავასთან კი მას არცთუ კარგი მოგონებები უნდა აკავშირებდეს, რადგანაც შარშან აქ მარტინ ვასალო არგუელოსთან მის წაგებას საეჭვო სუნი აუვიდა და ATP-იც კარგა ხანს იძიებდა ამ საქმეს, თუმც დავიდენკოს ვერაფერი დაუმტკიცდა.

ქალები კი ამ კვირას ბირმინგემში არიან თავმოყრილნი, სადაც ექვსმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა ნიკოლ ვაიდიშოვამ. ახალგაზრდა ჩეხმა ნატალი დეშის მოუგო და ამით მაგრადაც გაიახარა. სამაგიეროდ, თავისი საქმეების გამოსწორება უჭირს უიმბლდონის შარშანდელ ფინალისტ მარიონ ბარტოლის, რომელიც ისევ პირველ წრეში მიიჩოგნა — ამჯერად პეტრა ჩეტკოვკასგან. ისე, ფრანგის ფორმიდან გამომდინარე, დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ერთი წლის წინანდელ მიღწევის გამეორება მას ნამდვილად არ „ეშუქრება".

ძახა ლომაშვილი

სტამბოლი ქართული ქალაქია

ერთბაშად სამი ქართველი ჩოგბურთელი გავიდა სტამბოლში ITF-ის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის მეოთხედფინალში — ოქსანა კალაშნიკოვა, მანანა შაფაქიძე და ეკა გორგოძე.

ამ სამიდან განსაკუთრებით გორგოძის წარმატებაა გამოსაყოფი. ეკამ შეჯიბრი კვალიფიკაციიდან დაიწყო და მეორე წრეში კი თურქეთის საუკეთესო ჩოგბურთელს, ტურნირზე მეორე ნომრად განთესილ კაგლა ბუიუკაკჩაის, ვისაც WTA-ს რეიტინგში კარიერის უმაღლესი, 398-ე პოზიცია უკავია, საკმაოდ იოლად, 6:3 6:3 მოუგო.

ორ სეტში იმარჯვა შაფაქიძემაც. მანანამ 7:6 6:4 სძლია კლასიფიკაციის 973-ე ნომერს, ბელგიელ ინეკ გერგერტს. რაც შეეხება მე-7 ნომრად განთესილ კალაშნიკოვას, მას სამი სეტი (6:4 4:6 6:2) დასჭირდა რეიტინგის 703-ე საფეხურზე მყოფი რუსის მარია ჟარკოვას დასამარცხებლად.

ამასობაში გაირკვა ანა ტატიშვილის სამეორწრეო მეტოქის ვინაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტეხასური ელ პასოს მაგარსაფარზე მიმდინარე 25-ათასიან ტურნირზე. ანა კვალიფიკაციიდან წამოსულ ვეტერან ამერიკელს, 30 წლის ლინდსი ლი-უოტერსს შეხვდება, რომელმაც პირველ წრეში 6:4 7:5 დაამარცხა ასევე კვალიფიკანტი ამერიკელი ანა ვიშნიკი. ეს ლი-უოტერსი ამჟამად, ოდენ 552-ეა WTA-ს რეიტინგში, შორეულ 1996 წელს კი სულაც მოწინავე 50-ეულში შედიოდა და 43-ე ადგილზე იწონებდა თავს.

ოქსანა კალაშნიკოვა

მსოფლიოს 10 უძვირესი სტადიონი

ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“, რომელიც, მოგეხსენებათ, სხვათა ფულის თვლის დიდოსტატია, მსოფლიოს 10 უძვირესი სტადიონის სია გამოაქვეყნა. მათი უმრავლესობა ახლა შენდება და იმასაც მიაქცევთ ყურადღებას, რომ მათგან ევროპული და საფეხბურთო ოდენ ორია.



















1. ნიუ მედოულენდს სტადიუმი

მდებარეობა: ისტ. რეზერფორდი. ნიუ ჯერსი. აშშ

მფლობელი გუნდები: „ნიუ იორკ ჯეთსი“, „ნიუ იორკ ჯაიანთსი“, ნფლ (ნაციონალური საფეხბურთო ლიგა)

ღირებულება: 1,3 მილიარდი დოლარი

ტევადობა: 82 500

გაიხსნება: 2010 წელს

სტადიონის ტერიტორიაზე არის 200 ლუქსი და კლუბების წარმომადგენლებისთვის განკუთვნილი 9 200 სკამი, ასევე 4 უზარმაზარი ციფრული ვიდეო-ტაბლო.

2. იანკი სტადიუმი

მდებარეობა: ბრონქსი. ნიუ იორკი. აშშ

მფლობელი გუნდი: „ნიუ იორკ იანკი“, ბეისბოლი

ღირებულება: 1,3 მილიარდი

ტევადობა: 51 800

გაიხსნება: 2009 წელს

67 ლუქსი; 2500-ადგილიანი ვიპ-ლოჟა. გაიყიდება 10-წლიანი აბონემენტები, რომელთა ღირებულებაც 650 000-დან 800 000-მდე იმერყევებს. ყველაზე იაფი ბილეთები 45 დოლარზე ნაკლები არ ეღირება და მათი რიცხვი 24 ათასს შეადგენს.

3. დალას კოვბოის ნიუს სტადიუმი

მდებარეობა: არინგტონი. ტეხასი. აშშ

მფლობელი გუნდი: „დალას კოვბოის“, ნფლ

ღირებულება: 1 მილიარდი

ტევადობა: 80 000

გაიხსნება: 2009

4. ლუკას ოილ სტადიუმი

მდებარეობა: ინდიანაპოლისი. აშშ

ღირებულება: 625 მილიონი

ტევადობა: 63 000

გაიხსნება: 2008

5. სიტი ფილდი

მდებარეობა: ფლუშინგი. ნიუ იორკი. აშშ

მფლობელი გუნდი: „ნიუ იორკ მეთსი“. მბლ (ბეისბოლის უმაღლესი ლიგა)

ღირებულება: 600 მილიონი

ტევადობა: 45 000

გაიხსნება: 2009

6. ლენდსდოუნ როად სტადიუმი

მდებარეობა: დუბლინი. ირლანდია

მფლობელი გუნდი: ირლანდიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრები

ღირებულება: 365 მილიონი ევრო

გაიხსნება: 2009

ტევადობა: 50 000

110 ლუქსი; 10 ათასი ადგილი განსაკუთრებული სტუმრებისთვის. სტადიონზე გაიმართება ასევე სარაგბო მატჩები.

7. პეკინის ეროვნული სტადიონი

მდებარეობა: პეკინი. ჩინეთი

ღირებულება: 500 მილიონი

ტევადობა: 91 000

გაიხსნა: 2008 წლის აპრილში

ეს სტადიონი სპეციალურად ოლიმპიური თამაშებისთვის შენდება. აქ გაიმართება როგორც გახსნის, ასევე დახურვის ცერემონიალები. პეკინის ეროვნულ სტადიონზე, ძირითადად, ველორბოლისა და მძლეოსნობის შეჯიბრებები გაიმართება.

8. პიცბურგ არენა

მდებარეობა: პიცბურგი. კანადა

მფლობელი გუნდი: „პიცბურგ პინგვინსი“. ნჰლ

ღირებულება: 300 მილიონი

ტევადობა: 18 500

გაიხსნება: 2010

9. ოლიმპიკი

მდებარეობა: ლიონი. საფრანგეთი

ღირებულება: 240 მილიონი ევრო

გაიხსნება: 2010 წელს

ტევადობა: 60 000

სტადიონი იქნება მწვანე ფერებში გადაწყვეტილი. აქ, ძირითადად, საფეხბურთო მატჩებს ითამაშებენ, ისე კი რაგბიც გაიმართება ხოლმე.

10. რედ ბულ პარკი

მდებარეობა: ჰარისონი. ნიუ ჯერსი. აშშ

მფლობელი გუნდი: „ნიუ იორკ რედ ბული“. მლს (უმაღლესი საფეხბურთო ლიგა)

ღირებულება: 140 მილიონი

ტევადობა: 25 189

გაიხსნება: 2009

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი და კროკერ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		აშშ. MLS						
		13 ივნისი						
05:00	465	ჰიუსტონი-ნიუ ინგლენდი	2.20	3.20	3.05	1.30	1.27	1.56
		ბრაზილია. ჩემპიონატი						
		13 ივნისი						
03:30	454	პალმეირეასი-კრუზეირო	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
03:30	455	ატლეტიკო მნ-იპატინგა	1.57	3.40	5.40	1.07	1.21	2.08
03:30	456	ფლუმინენსე-სანტოსი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
		14 ივნისი						
23:10	457	ინტერნასიონალი-ბოტაფოგო	1.70	3.50	4.00	1.14	1.19	1.86
23:10	458	ფიგეირენსე-სპორტ რისიფე	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
23:10	460	ფლამენგო-სან პაულუ	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
		15 ივნისი						
01:20	459	პორტუგესა-ატლეტიკო პრ	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
01:10	461	კურიტიბა-ვიტორია	1.75	3.40	3.90	1.15	1.20	1.81
01:20	462	ნაუტიკო-ვასკუ და გამა	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
01:20	463	გოიასი-გრემიო	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		FIFA. მზ 2010 შესარჩევი მატჩები						
		13 ივნისი						
16:00	409	ჯიბუტი-დრ კონგო	7.50	4.00	1.30	2.60	1.10	1.00
21:00	410	მავრიტანია-ეთიოპია	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
		14 ივნისი						
16:30	411	მალავი-ეგვიპტე	7.20	3.90	1.35	2.52	1.13	1.00
16:30	412	სეიშელი-ბურკინა ფასო	6.60	3.70	1.45	2.37	1.18	1.04
17:00	415	კენია-ზიმბაბვე	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
17:00	416	უგანდა-ანგოლა	3.30	3.20	1.95	1.62	1.22	1.21
17:30	417	რუანდა-მაროკო	5.80	4.00	1.40	2.36	1.12	1.03
18:00	418	ნამიბია-გვინეა	2.70	3.20	2.25	1.46	1.22	1.32
18:30	419	გაბონი-განა	5.20	3.40	1.55	2.05	1.19	1.06
19:00	420	ნიგერი-ბენინი	2.70	3.10	2.35	1.44	1.25	1.33
19:00	421	ჩადი-კონგო	3.20	3.20	2.05	1.60	1.24	1.24
20:30	422	სიერა ლეონე-სამხ. აფრიკა	4.70	3.40	1.65	1.97	1.22	1.11
21:00	423	გამბია-ალჟირი	2.85	3.20	2.15	1.50	1.22	1.28
21:00	424	სუდანი-მალი	3.85	3.30	1.75	1.77	1.20	1.14
14:20	433	ტაილანდი-იაპონია	7.00	3.80	1.40	2.46	1.16	1.02
16:00	435	ჩინეთი-ერაყი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
20:00	438	ყატარი-ავსტრალია	3.80	3.20	1.80	1.73	1.22	1.15
21:00	440	სირია-ირანი	2.85	3.10	2.20	1.48	1.24	1.28
21:45	441	კუვეიტი-საამიროები	2.30	3.10	2.70	1.32	1.24	1.44
23:00	442	ურუგვაი-ვენესუელა	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
		15 ივნისი						
15:30	426	მადაგასკარი-მოზამბიკი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
17:00	428	ბურუნდი-ტუნისი	4.70	3.30	1.65	1.93	1.22	1.10
17:00	429	ლესოტო-ლიბია	4.40	3.30	1.65	1.88	1.19	1.10
18:30	430	ეკ.გვინეა-ნიგერია	5.50	3.50	1.50	2.13	1.17	1.04
20:00	431	ლიბერია-სენეგალი	6.00	3.70	1.45	2.28	1.16	1.04
05:00	443	პერუ-კოლუმბია	2.15	3.20	2.95	1.28	1.24	1.53
23:00	444	პარაგვაი-ბრაზილია	3.75	3.20	1.85	1.72	1.23	1.17
		16 ივნისი						
01:10	445	არგენტინა-ეკვადორი	1.15	5.50	12.00	1.00	1.04	3.77
03:15	446	ბოლივია-ჩილე	2.40	3.10	2.60	1.35	1.24	1.41
		UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008						
		13 ივნისი						
20:00	13	იტალია-რუმინეთი	1.70	3.40	5.20	1.13	1.28	2.05
22:45	14	ჰოლანდია-საფრანგეთი	2.70	3.20	2.60	1.46	1.32	1.43
		14 ივნისი						
20:00	15	შვედეთი-ესპანეთი	5.00	3.20	1.75	1.95	1.29	1.13
22:45	16	საბერძნეთი-რუსეთი	3.20	3.20	2.20	1.60	1.30	1.30
		რუსეთი. თასი						
		13 ივნისი						
16:00	407	გაზოვიკი ორ-ალნასი	1.11	6.50	10.00	1.00	1.00	3.93
16:00	408	ლადა ტ-ვოლგა ნნ	3.80	2.90	1.95	1.64	1.28	1.16

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10013	იტალია-რუმინეთი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10015	შვედეთი-ესპანეთი	4.90	2.10	2.10	1.47	1.47	1.04
10016	საბერძნეთი-რუსეთი	3.20	2.00	2.50	1.23	1.40	1.11

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11013	იტალია-რუმინეთი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11014	ჰოლანდია-საფრანგეთი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11015	შვედეთი-ესპანეთი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50
11016	საბერძნეთი-რუსეთი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00

შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე

რომელ ტაიმში იქნება მეტი კუთხური(ძირ. დრო)

		I-ში	თანაბრად	II-ში
40013	იტალია-რუმინეთი	2.10	4.00	1.80
40014	ჰოლანდია-საფრანგეთი	2.10	4.00	1.80

ვინ დაიწყებს თამაშს

		1	2
31013	იტალია-რუმინეთი	1.90	1.90
31014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.90	1.90

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

		1	2
32013	იტალია-რუმინეთი	1.60	2.10
32014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.80	1.70

ვინ მიიღებს პირველ ყ ან წ ბარათს (ძირ. დრო)

		1	2
33013	იტალია-რუმინეთი	2.00	1.60
33014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.90	1.70

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო)

		ნაკ.	მეტ.
20013	იტალია-რუმინეთი 10,5	1.90	1.60
20014	ჰოლანდია-საფრანგეთი 10,5	1.80	1.70

გოლი გავა კომპენსირებულ დროში

39013	იტალია-რუმინეთი კი	3.10
39014	ჰოლანდია-საფრანგეთი კი	3.10

პირველ ტაიმში გატანილი გოლების რაოდენობა

		ნაკ.	მეტ.
22013	იტალია-რუმინეთი 1,5	1.25	2.60
22014	ჰოლანდია-საფრანგეთი 1,5	1.25	2.40

თამაშგარე მდგომარეობა (ძირ. დრო)

		ნაკ.	მეტ.
36013	იტალია-რუმინეთი 5,5	1.90	1.60
36014	ჰოლანდია-საფრანგეთი 5,5	1.90	1.60

გაიტანს თუ არა შეცვლაზე შემოსული გოლს(ძირ დრო)

49013	იტალია-რუმინეთი კი	3.00
49014	ჰოლანდია-საფრანგეთი კი	3.00

ყვითელი ბარათების რაოდენობა (ძირ. დრო)

		ნაკ.	მეტ.
34013	იტალია-რუმინეთი 4,5	1.90	1.60
34014	ჰოლანდია-საფრანგეთი 4,5	1.55	2.10

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

		კი	არა
21013	იტალია-რუმინეთი	3.00	1.20
21014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3.00	1.20

პირველ ტაიმში იქნება შეცვლა

43013	იტალია-რუმინეთი კი	3.50
43014	ჰოლანდია-საფრანგეთი კი	3.50

მეკარე შეიცვლება (ძირ. დრო)

45013	იტალია-რუმინეთი კი	6.00
45014	ჰოლანდია-საფრანგეთი კი	6.00

პირველი გოლი 0-29/ 30-90 (ძირ. დრო)

		1	2
35013	იტალია-რუმინეთი	1.90	1.90
35014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.90	1.90

პირველ ტაიმში კუთხურების რაოდენობა

		ნაკ.	მეტ.
24013	იტალია-რუმინეთი 4,5	1.90	1.70
24014	ჰოლანდია-საფრანგეთი 4,5	1.90	1.70

იქნება გაძევება(ძირ. დრო)

37013	იტალია-რუმინეთი კი	3.30
37014	ჰოლანდია-საფრანგეთი კი	3.30

კუთხურები: წყვილი-1 თუ კენტი-2 (ძირ დრო)

		1	2
48013	იტალია-რუმინეთი	1.85	1.85
48014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.85	1.85

II ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
19013	იტალია-რუმინეთი	1.90	2.30	5.00	1.04	1.37	1.57
19014	ჰოლანდია-საფრანგეთი	2.80	2.30	2.70	1.26	1.37	1.24

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12013	იტალია-რუმინეთი 2,5	1.55	2.10
12014	ჰოლანდია-საფრანგეთი 2,5	1.55	2.10

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16013	იტალია-რუმინეთი	1.30	3.00
16014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.70	1.80
16015	შვედეთი-ესპანეთი	3.00	1.30
16016	საბერძნეთი-რუსეთი	2.20	1.50

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17013	იტალია-რუმინეთი	1.85	1.95
17014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.85	1.95
17015	შვედეთი-ესპანეთი	1.85	1.95
17016	საბერძნეთი-რუსეთი	1.85	1.95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15013	იტალია-რუმინეთი	3.00	2.80	2.00
15014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00
15015	შვედეთი-ესპანეთი	3.00	2.80	2.00
15016	საბერძნეთი-რუსეთი	3.00	2.80	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ.
13013	იტალია-რუმინეთი	1.90	1.60
13014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.80	1.60
13015	შვედეთი-ესპანეთი	1.90	1.70
13016	საბერძნეთი-რუსეთი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14013	იტალია-რუმინეთი	1.55	2.30
14014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.95	1.85
14015	შვედეთი-ესპანეთი	2.30	1.55
14016	საბერძნეთი-რუსეთი	1.90	1.70

ზუსტი ანგარიში

47013	იტალია-რუმინეთი	0:0	6.50
47013	იტალია-რუმინეთი	3:2	20.00
47013	იტალია-რუმინეთი	1:1	7.50
47013	იტალია-რუმინეთი	2:3	35.00
47013	იტალია-რუმინეთი	0:3	30.00
47013	იტალია-რუმინეთი	1:2	13.00
47013	იტალია-რუმინეთი	0:2	20.00
47013	იტალია-რუმინეთი	0:1	10.00
47013	იტალია-რუმინეთი	1:3	50.00
47013	იტალია-რუმინეთი	2:0	5.20
47013	იტალია-რუმინეთი	3:0	10.00
47013	იტალია-რუმინეთი	2:2	18.00
47013	იტალია-რუმინეთი	1:0	5.00
47013	იტალია-რუმინეთი	2:1	7.00
47013	იტალია-რუმინეთი	3:1	10.00

47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	0:0	7.00
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1:3	18.00
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3:2	25.00
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	0:1	7.00
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	0:2	10.00
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3:1	15.00
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	0:3	25.00
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	2:3	30.00
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1:1	5.50
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	2:2	12.00
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1:0	6.00
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	2:0	10.00
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	2:1	7.00
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3:0	20.00
47014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1:2	8.00

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ფილის ჩალურჯება

ის თქვენ ვირი არ გეგონოთ

ასე და ამგვარად, „ჩელსის“ ახალ მწვრთნელად დანიშნეს „დიდი ფილი“ სრულად კი ლუიშ ფელიპე სკოლარი და დაუყოვნებლივ მისცეს 100 მილიონი გირვანქა მისთვის სასურველი ფეხბურთელების საყიდლად. სკოლარი, რომელიც ამწუთას ევროპის ჩემპიონატზეა და პორტუგალიის ნაკრებს უდგას სათავეში, ლონდონში საქმეს 1 ივლისს შეუდგება. მისი ხელფასი წელიწადში 5 მილიონი გირვანქა იქნება.

დარეგორ ფიქრობთ, ვის იყიდის უპირველეს ყოვლისა „დიდი ფილი“? რასაკვირველია, გამოიცანით: პორტუგალიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ გამთამაშებელ დეკუს, რომლის სანაცვლოდაც 10 მილიონ გირვანქას გადაიხდის და იქვე გაუფორმებს ახალ კონტრაქტს მეორე პორტუგალიელს, ისედაც „ჩელსის“ მოთამაშეს, ცენტრალურ მცველ რიკარდუ კარვალიუს, რომლის ჯამაგირიც კვირაში 90 ათასი გირვანქა გახდება.

30 წლის კარვალიუ ახალი მწვრთნელის თაობაზე უკვე ესაუბრა ჟურნალისტებს. მან თქვა:

„სკოლარი დიდი მწვრთნელი და დიდი პიროვნებაა. მისნაირ ადამიანებს ფეხბურთელები უჯერებენ და მიჰყვებიან, ასე რომ, ვფიქრობ, ჩვენი საქმე კარგად წავა“.

აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა, მათ შორის კარვალიუმ და სხვა „ლურჯებმა“, სკოლარის ახალი სამსახურის ამბავი ჩეხეთის 3:1 დამარცხების შემდეგ შეიტყეს.

კარვალიუმ დასძინა: „ახალმა ამბავმა გაოცებისგან ყველა პირდაღებული დაგვტოვა. ჭორად სკოლარის და „ჩელსის“ მოლაპარაკებების ამბავი, რასაკვირველია, გაგონილი გვქონდა, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ ის ევროპის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ლონდონის გზას დაადგებოდა“.

ზემოთ დეკუ ვახსენეთ. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ტრავმებით დატანჯული გასული სეზონის შემდეგ მას „ბარსელოდან“ წასვლა სურს, რაზეც სკოლარის თავისი შეხედულება აქვს:

„ის, რაც გასულ სეზონში „ბარსელონაში“ მოხდა, დეკუს ბრალი არანაირად არ ყოფილა. მისნარი ფეხბურთელი მთელ ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ ერთია, ჰოლანდიელი ვესლი სნეიდერი. დეკუ ის ინდივიდუალისტი გახლავთ, რომელიც თამაშის მსვლელობისას რისკზეც მიდის და განსხვავებულ გადაწყვეტილებებსაც იღებს. მისი ინდივიდუალიზმი გამართლებულია“.

„ჩელსიმ“ ლუიშ ფელიპე სკოლარის მწვრთნელად დანიშვნის ამბავი ოფიციალურადაც დაადასტურა და განაცხადა, რომ საქმეს პირადად პრეზიდენტმა, რომან აბრამოვიჩმა დაუსვა წერტილი. ორშაბათს, ჩუკოტკის გუბერნატორი შვეიცარიაში ჩასულა და 59 წლის სკოლარის პირადად შეხვედრია. რუსისა და ბრაზილიელის საუბარი, როგორც მოგახსენეთ, შეთანხმებით დასრულდა.

საგულისხმოა, რომ სკოლარიმ „ჩელსის“ ამბის გახმაურებისგან თავის შეკავება სთხოვა. „დიდ ფილს“ უნდოდა, მისი ახალ სამსახურში გადასვლის ამბავი ევროპის ჩემპინატის მერეღა გამხდარიყო ცნობილი. შიშობდა, სიახლეს პორტუგალიის ნაკრებისთვის ტიტულისთვის ბრძოლაში ხელი არ შეეშალა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ლონდონელებმა პორტუგალიელთა შეფს ჩეხებთან გამარჯვების შემთხვევაში საიდუმლოს გათქმის უფლება სთხოვეს და თანხმობაც მიიღეს.

ოფიციალურად კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მოწერილა, მაგრამ, მისი გარემოცვა ირწმუნება რომ ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს.

სასაცილოა: ბრაზილიელი სპეციალისტის „ჩელსის“ თავკაცად დანიშვნის გამო ინგლისელმა მიმომხილველმა სტივენ ჰოვარდმა დაწერა, ამიერიდან ყოზე მაურინიუს როლში ჯინ ჰეკმენი გვყავსო — სკოლარი გარეგნულად მართლა ჩამოჰგავს ამერიკელ მსახიობს.

ჰოვარდი ყურადღებას სკოლარის ჟურნალისტებთან ურთიერთობაზეც ამახვილებს. მოგეხსენებათ, სად-სად და, ინგლისში ამას გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს. ინგლისური პრესა დაუნდობელია, მას შეუძლია ადამიანი წყობიდან გამოიყვანოს. აი, რას წერს ხსენებული მიმომხილველი:

„პორტუგალიაში სკოლარის და მედიას ერთმანეთი არ უყვართ. პრესკონფერენციაზე, რომელიც ფინეთთან ნერვიულ უგოლო ფრეს მოჰყვა (ამ ფრის შემდეგ მოხვდა პორტუგალიის ნაჯრები ევროპის ახლანდელ ჩემპიონატზე), სკოლარიმ ჟურნალისტებს უორიალა:

„თქვენ მე ვირი ხომ არ გგონივართ?! თქვენ მე საშინელი მწვრთნელი გგონივართ?“

და როგორ მოიქცევა ის, როდესაც „ჩელსი“ რამდენიმე თამაშს წააგებს და ინგლისური პრესისთვის ჩვეულ კრიტიკას გადააწყდება?“...

თუმცა, თუ რომან აბრამოვიჩის ერთ-ერთი მიზანი ისეთი კაცის დაქირავება იყო, რომელსაც მისი მილიონერი სუპერვარსკვლავები მოწიწებით მოეპყრობიან, მაშინ სწორი არჩევანი გაკეთებულა.

პაპუნა კედია

ლუიშ ფელიპე სკოლარი

დაიბადა 1948 წლის 8 ნოემბერს რიო გრანდე დუ სულში, ბრაზილია.

ფეხბურთელის კარიერა: „აიმორი“, „კაშიასი“, „ნოვო ჰამბურგო“, „უუვენტუდე“, CSA

პოზიცია: მცველი

საკლუბო მწვრთნელის კარიერა: „კრიკიუმა“ (1991-1993), „გრემიო“ (1993-1997), „პალმეირასი“ (1997-2000), „კრუზეირო“ (2000-2001)

სანაკრებო მწვრთნელის კარიერა: 1990 ქუვეიტი; ბრაზილია (2001-2002); პორტუგალია (2002-2008)

საკლუბო ტიტულები:

კოპა ლიბერტადორესი: 1995, 1999 (გრემიო);

ბრაზილიის თასი: 1991 (კრიკიუმა), 1993 (გრემიო), 1998 (პალმეირასი);

ბრაზილიის ჩემპიონი: 1996 (გრემიო);

სამხრეთ ამერიკის სუპერთასი: 1996 (გრემიო);

მერკოსურის თასი: 1998 (პალმეირასი)

რომან აბრამოვიჩის წინა მწვრთნელები

კლაუდიო რანიერი

ივლისი, 2003 - მაისი, 2004

იტალიელი მწვრთნელი აბრამოვიჩს თანამდებობაზე დახვდა. მისი ხელმძღვანელობით „ჩელსიმ“ ისტორიაში პირველად ითამაშა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, მაგრამ „მონაკოსთან“ ორი თამაშის ჯამში 3:5 წააგო და თანამდებობა დაატოვებინეს.

ჟოზე მაურინიუ

ივნისი, 2004 - სექტემბერი, 2007

„განსაკუთრებულმა“ „ლურჯები“ ორჯერ გახადა ინგლისის ჩემპიონი, მოაგებინა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისა და ლიგის თასები და ორჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. თანამდებობიდან აბრამოვიჩთან ურთიერთობების დაძაბვის შემდეგ მოხსნეს.

ავრაამ გრანტი

სექტემბერი, 2007 - მაისი, 2008

„ჩელსის“ სათავეში უკვე დაწყებული ჩემპიონატის დროს ჩაუდგა და გუნდი როგორც ჩემპიონთა ლიგაში, ასევე პრემიერლიგაში მეორეზე გაიყვანა. ამისთვის მოხსნეს კიდეც.

ტოტემჰემით ბედნიერი დოს სანტოსი

ნიჭიერმა მექსიკელმა ჯოვანი დოს სანტოსმა ლონდონის „ტოტენჰემში“ წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება და ბედნიერია, რომ „მამლების“ დარ კლუბში ჩაირიცხა.

„ეს ახდენილი ონცნებაა. ინგლისში იმიტომ ჩამოვედი, რომ ბოლომდ გავიხსნა, დავიხვეწო და გავიზარდო, როგორც ფეხბურთელი. „ტოტენჰემი“ დიდი გუნდია და მინდა მას მაქსიმალური წარმატება მოვუტანო. ვიცი, რომ წარმატებებისთვის ვიბრძოლენთ“ — თქვა დოს სანტოსმა.

იუსი რიბოკზე რჩება

ფინელი მეკარე იუსი იასკალაინენი „ბოლტონში“ რჩება. „რიბოკის“ ბინადრებმა გამოცდილ გოლკიპერთან ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი შეატანხმეს, მაგრამ იგი ოფიციალურად ჯერ არ გაფორმებულა, რადგან 33 წლის ფეხბურთელი ახლა შვებულებაშია და ისვენებს. შეგახსენებთ, რომ იგი „ბოლტონში“ 1997 წლის მერე თამაშობს.

ლაციომ როზენალი გამოისყიდა

ჩეხეთის ნაკრების მცველი დევიდ როზენალი „ნიუკასლიდან“ „ლაციოში“ გადავიდა. 27 წლის ფეხბურთელი რომაელთა რიგებში იანვრიდან ივჯარის წესით ირიცხებოდა, ახლა კი „ბიანკოჩელესტიმ“ იგი ჯორდებისგან ბოლომდე გამოისყიდა. შეთანხმების ფინანსური მხარე ჯერჯერობით არ ხმაურდება.

ტანკი ნაპოლიში

იტალურმა „ნაპოლიმ“ არგენტინელი ფორვარდი ხერმან დენისი იყიდა, რომელსაც „ტანკის“ მეტსახელით იცნობენ. 26 წლის ფეხბურთელი „ინდეპენდიენტეს“ შთამბეჭდავი შედეგით ტოვებს — 65 მატჩში 44 გოლი. იგი ეროვნულ ნაკრებშიც გახლდათ გამოძახებული და მას სხვადასხვა კლუბები უტრიალებდნენ. ამბობენ, ნეაპოლელებს დენისი 12-14 მილიონი ევრო დაუჯდათო.

გარდა ამისა, „ნაპოლიმ“ „სამპდორიასგან“ წინა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი კრისტიან მაჯო იყიდა. ასე რომ, ნეაპოლელები მართლაც აღარ ხუმრობენ.

ვოლპი: სამპდორიადან ბოლონიაში

სერია A-ში დაბრუნებული „ბოლონიას“ პირველი შენაძენი სერჯიო ვოლპი გახდა. იგი „როსობლუში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. 34 წლის ნახევარმცველს „სამპდორიასთან“ კონტრაქტის ვადა ცოტა ხნის წინ გაუვიდა, მან გენუელთა რიგებში 6 სეზონი გაატარა და იქაური ფანების ერთ-ერთი უსაყვარლესი მოთამაშე გახლდათ. იტალიის ნაკრებში ვოლპის ორი თამაში აქვს ჩატარებული.

ინტერი და მანსინი

ამ კვირაში „რომასა“ და „ინტერის“ დირექტორები ერთმანეთს შეხვდნენ, რათა ალბერტო აკვილანისა და ამანტინო მანსინის შესაძლო ტრანსფერებზე ელაპარაკათ. იტალიური პრესის ცნობით, „გლადიატორებმა“ აკვილანისთან განშორება კატეგორიულად იუარეს, ხოლო მანსინისთან დაკავშირებით მხარეები შეთანხმებასთან ახლოს ყოფილან.

თურმე „ინტერი“ რეაქტიულ ბრაზილიელ გარემარბს კარგ ხელფასს პირდება და „რომას“ ფულის გადახდასთან ერთად, ბოლომდე დაუთმობს მარკო ანდრეოლის და სანახევროდ ახალგაზრდა პორტუგალიელ პელეს. თავის მხრივ, რომაელები მანსინის შემცვლელად შეეცდებიან „უდინეზედან“ ანტონიო დი ნატალეს მოყვანასო. ყველაფერი უახლოეს დღეებში უფრო დაწვრილებით გაირკვევა

გალიანის წუხილი

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი წუხს, რომ „როსონერიმ“ ჯერ ვერცერთი დიდი ფორვარდი ვერ ჩაიგდო ხელში. ამჟამად კანდიდატი სამია — ემანუელ ადებაიორი, შამუელ ეტოო და დიდიე დროგბა...

„ლონდონის „არსენალს“ ადებაიორის თაობაზე მივმართეთ, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია. ველოდებით, რა ფასს დაადებს „ჩელსი“ დროგბას, ეს ალბათ უახლოეს 2-3 დღეში გვეცოდინება. რაც შეეხება ეტოოს, „ბარსელონასთან“ მოლაპარაკება მიმდინარეობს, მაგრამ შეთანხმებამდე ჯერ ძალიან ადრეა, კატალონიელები ამ წუთისთვის ძალიან ბევრს ითხოვენ. დიმიტარ ბერბატოვი და მარიო გომესი? ჩვენ ამ ორი ფეხბურთელით აღარ ვართ დაინტერესებულნი, თუ უმაღლესი კლასის ფორვარდს დავიმატებთ, ვფიქრობ, რომ ეს ზემოთ ხსენებული სამი თავდამსხმელიდან ერთ-ერთი იქნება. ანდრეი შევჩენკოს ვარიანტი გამორიცხულია, იგი არ იყიდება. რონალდინიოს შემთხვევაში კი დიდი ჩახლართულობაა და ეს ვარიანტიც ფაქტობრივად გამორიცხულია“ — განმარტა გალიანიმ.

კოკი კანდელაკი

როგორ ავკრძალოთ კაცთან ლაპარაკი?

კრიშტიანუ რონალდუ

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და მადრიდის „რეალის“ ბრძოლა პორტუგალიელი ვარსკვლავის კრიშტიანუ რონალდუს გამო, „სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება. საინტერესოა, რომ ამ ისტორიას გაგრძელება ყოველდღიურად აქვს და ამჯერად სწორედ დღეის წილ სიახლეზე გვინდა მოგახსენოთ:

ფიფამ ინგლისის ჩემპიონს შემოუთვალა, რამდენადაც არ უნდა გაღიზიანებდეს, „რეალს“ რონალდუს მოთაფლვას ვერ ავუკრძალავთო.

ასე და ამგვარად, მანჩესტერელთა მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს „რეალის“ ფიფას ძალით დასჯის იმედი ტყუილად აქვს. იგივე თქვა მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის მავანმა ოფიციალურმა პირმაც:

„იუნაიტედის“ შანსი, დაგვასჯევინოს „რეალი“ ნულის ტოლია“.

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ფიფაში ოფიციალური საჩივარი ჰქონდა შეტანილი. როგორც მრავალჯერ მოგახსენეთ, ფერგიუსონი იმედოვნებდა, რომ მადრიდელებს რონალდუს გადაბირებისკენ გზას კანონით გადაუხერგავდა, თუმცა, როგორც ჩანს, ლეგენდარული სქოთი მწვრთნელის ყველა ცდა ამაო გამოდის — გუშინდელ „სარბიელში“ ინგლისური პრესიდან ის ფოტოებიც კი გადმოვბეჭდეთ, რომლებიც რონალდუს „რეალის“ ოფიციალურ წარმომადგენლებთან შეხვედრას ადასტურებენ.

ფიფას აღმასკომის მავანმა წევრმა კი შინაურულად ბრძანა:

„ყველამ იცის, რომ ფეხბურთში ასეთი რამეები ხდება, მაგრამ კანონის დარღვევაში ვინმეს გამოჭერა უბრალოდ შეუძლებელია. „რეალი“ მეტისმეტად ძლევამოსილი გუნდია და ვეჭვობ „მანჩესტერის“ საჩივარმა დააშინოს“.

პაპუნა კედია

ცხვირი

დეკიდ და ბრუკლინ ბექჰემები

საწყალი, მოხუცი ბექზი — წერენ ინგლისური ტაბლოიდები — მან ცხვირი იტკინა. და არ გაინტერესებთ, ვინ ატკინა ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს, ახლა კი „ლოს ანჯელეს გალაქსის“ მოთამაშეს ცხვირი? ვინ და საკუთარმა შვილმა ბრაუკლინმა.

32 წლის ბექზმა ერთ-ერთ ამერიკულ თოქ-შოუში განაცხადა:

„ბრუკლინს კალათბურთს ვეთამაშებოდი, მან ბურთი კალათისკენ ისროლა, მაგრამ აისხლიტა და ცხვირში მომხვდა. პატარა ნაიარევიც კი მაჩნია“.

მაგრამ ის ნაიარევი, ეტყობა ძალიან უმნიშვნელოა: მოგვიანებით, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ თამაშზე წასულ მამა-შვილს ბევრი კი უღეს პაპარაცებმა, მაგრამ მამის ცხვირზე ვერაფერი იპოვნეს.

პაპუნა კედია

გიო ახვლედიანის სვეტეული

ა დოჟ პრადალჟაეცა

ჩემპიონატის ყველაზე ინტელიგენტური იერი რომ კობი კუნს აქვს, მგონი, სადავო არ უნდა იყოს, სამწუხაროდ, ეს იერი დიდხანს არ შერჩება აქაურობას. კობი კუნი პორტუგალიასთანაც ეცდება რაღაცას, რათა ლამაზად გამოეთხოვოს თავის მაყურებელს, რომელიც, სიმართლე ითქვას და, ერთგვარი სიმშვიდითა და გრძნობათა ნაკლებობით შეხვდა პირველ მარცხს, ხოლო მეორე, შეუდარებლად ალალად განიცადა, რახანღა გუნდმა ხალხს სთხოვა, რას ჩადუმებულხართ, მხარი დაგვიჭირეთო.

ფათიჰ თერიმი, პიჯაკის მარად წამოწეული სახელოებით, თეთრი მანჟეტებით და გაბრაზებული, უკმაყოფილო სახით, გამარჯვებული დარჩა. ისევე, როგორც ლუკაშ პოდოლსკიმ დასცა თავისი უპასპორტო სამშობლო, აგრეთვე აპირებდნენ მურატ იაკინი და კიდევ რამდენიმე ალპებში გაზრდილი თურქი ისტორიის შექმნას და სანამ მოედანზე წყალი იდგა, გამოირკვა, რომ ეს შესაძლებელია, თუმცა, თურქებს ვოლქანი მაგარი გამოადგათ. საკვირველი კი ეს იყო, რომ ბაზელში კოკისპირული წვიმა მოვიდა და თამაშს კი კვლავ ვლადიმერ ნიკიტიჩ მასლაჩენკო გადმოსცემდა. ფეხბურთის მაყურებლის მეხსიერება ოხერია: 1986 წელს, აწ მოხუცებული ნიკიტიჩი გადმოსცემდა არგენტინა-ურუგვაის მეოთხედფინალურ მატჩს და მაშინ ტროპიკული წვიმა მოვიდა, ხოლო ძია მასლავი კი ჰყვიროდა: ვაშ კამენტატორ ნახოძიტსა პად პრალივნიმ დაჟძიომ!... ხოლო ბოლო სიტყვები კი იყო: არგენტინა გავიდა ნახევარფინალში, მე ვლადიმერ მასლაჩენკო ვარ, ა დოჟ პრადალჟაეცა!

კი, დოჟ პრადალჟაეცა, განსაკუთრებით რუსეთის ნაკრებში. კვლავაც საიდუმლოდ რჩება, როგორ გავიდა რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე. მგონი, ამ ჩემპიონატის მთავარი საიდუმლო ინგლისის ნაკრებია, მაგრამ ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. ინგლისელებისგან არც გასაკვირია და არც მოულოდნელი. ისა ვთქვათ, სად გადავა დავიდ ვილია, რომელმაც, ასევე წვიმაში, ნამდვილი საკონდიტრო გახსნა და ღია ცის ქვეშ ნამცხვარიც არ დასველებია. სულ საუკეთესო ნამცხვრები. თუ არ შეეშინდა, პორტუგალიას გამოეთხოვება ლუის ფელიპე სკოლარიც, რომელიც „ჩელსიმ“ მოისურვა.

ფერნანდუ დუარტე, ბრაზილიური „ო გლობოს“ ჟურნალისტი, ამბობს, რომ სკოლარი ინგლისურად ცუდად ლაპარაკობს, მაგრამ ფეხბურთელების მამობა შეუძლია, რაც იშვიათი ნიჭია დღევანდელ მწვრთნელებში. ბრაზილიელივე, ბიბი-სის კორესპონდენტი, ასდრუბალ ფიგეირო აბრამოვიჩს ამცნობს, თუ ეგ კაცი ლამაზი ფეხბურთისთვის მიგყავს, ძალიან შემცდარხარო. საკლუბო დონეზე სკოლარი ნიშნავს 1:0-ს შინ და 0:0-ს გასვლაზე ნებისმიერი ხერხით — ასეთად ახსოვთ დიდი ფილი ბრაზილიაში.

ჩვენ მას დიდებულ სანაკრებო მწვრთნელად ვიცნობთ. მე მიყურებია, როგორ მიყავს თამაში და ვიფიქრე, ზოგჯერ ასეთი მწვრთნელის ყურება უფრო საინტერესოა, ვიდრე ერთი რიგითი თამაშის-თქო.

მგონი, მისი მამობრიობის და სიმკაცრის გამოა, რომ კრიშტიანუ რონალდუ თამაშობს. „რეალში“ გადასვლის გამო ატეხილი სკანდალის მთავარმა გმირმა იცის, რომ მას მთავარი მტერი ახლა ავსტრია-შვეიცარიის მინდვრებზე არ ჰყავს, მისი მთავარი მტერი ჯერჯერობით შვებულებაშია, მაგრამ სრულიად გაცეცხლებული. ვინც სერ ალექს ფერგიუსონის მრისხანების ამბავი იცის, იმას მინდორზე შეხვედრილი წინააღმდეგობები სასაცილოდ მოეჩვენება. მაგრამ სკოლარი ახერხებს, რომ რონალდუმ კარგად და სწორად ითამაშოს!

ისე კი, ჩეხები წაგებას არ იმსახურებდნენ. არაფრით. საერთოდაც, უფრო გამართულად ითამაშეს, ვიდრე პორტუგალიელებმა. უბრალოდ, დეკუ არ ჰყავდათ, არც რონალდუ, მილან ბაროშს იღბალმა ზურგი აქცია, ხოლო კაცი უმალ მეზობლის გარდერობს ჩამოიტანს მეექვსე სართულიდან, ვიდრე იან კოლერი გოლს გაიტანს, დაჟანგდა ეს ტანკი. თუმცა, თურქებთან შანსი აქვს, თუკი სერვეთ ჩეთინი დააცლის თავის დარტყმას.

ისინი ერთმანეთს შეაკვდებიან, თურქები და ჩეხები.

მე კი ვენაცვალე ბებერ შვედებს. ასე ტკბილად დამიბერდიო, სწორედ მაგათზეა ნათქვამი. მგონი, ლუის არაგონესზე ბებრები არიან, მაგრამ ნახე როგორ დარბიან, სანამ გაძლებენ, სანამ ზლატანი თავისი ოთხგანზომილებიანი მოძრაობებით კვლავაც შეძლებს ბურთის კარისკენ გაშვებას... ძრწოდე, რუსეთსო!

რასიია! რა-სი-ია!

ჯორჯია! ჯორჯია!

და სად არის ჯორჯია?

მე რა ვიცი, სად არის. შვებულებაშია...

თან წვიმებია. ჩვენთანაც, შვეიცარიის არ იყოს.

რა მაგარი დრენაჟია ბაზელში.

ვლადიმირ ნიკიტიჩ მასლაჩენკო

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ცოცალიზაცორი

1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი	წყვილი	შედეგი	კოეფ-ტი	სისტ

— დავიჭირე, ტო დავიჭირე!

— ვინ დაიჭირე, ძმა. ბენ ლადენი ხომ არ დაიჭირე, ხელოვნურ აფსაიდზე?

— არა ტო, დომენეკი და დონადონი. ესენი ბენ ლადენზე უარესები არ არიან? რაც ამათ მიქნეს ორშაბათს, ტერორისტი არ იკადრებდა.

— რა იკადრეს, შენთან ჩაიჭრნენ?

— ჩემი ვალი აქვთ, ტო.

— რა ვალი, ძმაო, მაგათთან ხომ არ მუშაობდი, მეორე ტრენერად? რაღაც შენი სიფათი არ მინახავს ზაპასნოების სკამზე.

— შენ ლადაობ, ტო და აბა მე მკითხე. სამი დღე ერთ-და-ნულერთიანი კუშივით დაპატარავებული დავდიოდი.

— აბა, ეხლა რაღას იბღინძები ტაიმბოლის ორმოცი კუშივით?

— კაი რა, ტო. შენ ჯერ იგროკი არა ხარ. ორი კუშით მაინც ვიქნები შენზე უფროსი და მაზი ვიცი.

— მაზი და კამაზი მეც ვიცი.

— ხო ხედავ, ტო, შენ მაზი ბარტავოი მანქანა გგონია.

— შენზე ნაკლები იგროკი იქსდვამ შეჭამოს ძმაო.

— არ იცი-მეთქი, ტო, გეუბნები. შენ ჯერ სერია ცეპირველში ხარ, „კავეზეს“ დონეზე.

— კაი, კაი, რა გაუბერე, ნუ გახვედი პანუჩივით მოედნის გარეთ. ბენ ლადენზე ამბობდი რაღაცას.

— ხარაშო, გეტყვი. ოღონდ სიტყვაში ერთი კუში უნდა გადამიხადო.

— ნახევარ კუშს მოგცემ და ხმა არ ამოიღო.

— რა იყო ტო, გეხუმრე. წეღანაც გეუბნებოდი, ჯერ იგროკი არა ხარ-მეთქი. თუ იგროკი ხარ, ჯიბეში ორი რამე უნდა გედოს.

— პასტა და წაგებული ბილეთი?

— აი, ხომ ხედავ, არ იცი. მარა ჩაგაწოდებ: კალენდარი და ლარი.

— რა ლარი და კალენდარი, ძმა, აბა, ადე გაიარე, კოჭის ტრავმა ხო არა გაქ?

— პროსტაამც, მაგ სიტყვისთვის ღირსი ხარ, რო ჩერეზსებია პატკატი გაგიკეთო, მარა გაიზრდები და ცვეტში მოხვალ.

— გეყოფა რა, ეს რასპასოვკა, ტო. ბენ ლადენი, დონადონი, დომენეკი, კალენდარი, ლარი. ხუთსვლიანი კომბინაცია არ უნდა დაასრულო?

— მაშინ მისმინე: კალენდარი ცვეტში საჭიროა, რო დღე და რიცხვი იცოდე, როცა მაზავ. დღეს ველიკი დღეა, პარასკევი და ცამეტი. ზნაჩიტ ყველა თამაში ყირაობს. ყველაზე დიდი ყომარბაზები იტალია და საფრანგეთი არიან. მაგათ ორშაბათს სამი დღის სიგარეტის ფული წამაგებინეს. დომენეკი და დონადონი ეხლა ყურებით მიჭირავს. იტალია რუმინეთს დაუწვება, საფრანგეთი ჰოლანდიას. თან იტალიის კოდი ნახე, ეგეც ცამეტია.

— წეღან კალენდართან ლარი ახსენე...

— ა, ლარიანი?

— იგროკს ლარიანი ვეჩნად უნდა ქონდეს. კალენდარი რომ დაკარგოს ახალი იყიდოს. პროსტაამც, ჯერ პატარ კუში ხარ და ას ბილეთს რომ დახევ, გადიდკუშდები.

კუში კოშმარია

ჩემი ბილეთი: იტალია — რუმინეთი

შედეგი: კარის უკან პანუჩის ძეგლს დადგამენ

სავარაუდო მოგება: ლაინსმენის სურათი 3X4-ზე

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ ვის ეძებდა მთვრალი ფილიპო ინძაგი იტალიის ნაკრების სასტუმროში ჰოლანდიასთან წაგების შემდეგ.

114140 *

მესამე და სამართალი

ის, რომ მესამე წრეში თურქეთ — ჩეხეთის მატჩი შესაძლოა პენალტების სერიით დასრულდეს, გუშინაც გვეწერა. შეგახსენებთ: ევროპის ჩემპიონატის დებულებით, თუკი ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში შეხვდებიან გუნდები, რომლებსაც ყველანაირი მაჩვენებელი თანაბარი აქვთ და მათი შეხვედრაც, შესაბამისად, ფრედ დასრულდა, ჯგუფში ვინ რომელ ადგილს დაიკავებს, პენალტების სერიით გადაწყდება.

კეთილი და პატიოსანი. ხოლო სანამ საქმე პენალტებამდე მივა (თუ მივა), ჩეხებს მესამის და სამართლის იმედი აქვთ.

აქამდე ევროპის ჩემპიონატებზე ჩეხები ორჯერ დაიჩაგრნენ. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში, გეხსომებათ, დუშან უჰრინის ჩეხეთმა გერმანიასთან ოლივერ ბირჰოფის „ოქროს გოლით“ წააგო, წინა პირველობაზე კი ნახევარფინალში ბერძნებთან მატჩი „ვერცხლის გოლით“ დათმო.

ჩეხთა მწვრთნელი კარელ ბრიუკნერი ამბობს: „ვარჯიშებისას პენალტებზეც ვმუშაობთ, თუმცა იმედი მაქვს, საქმეს იქამდე არ მივიყვანთ და ძირითად დროში მოვიგებთ. იცით, რომ ამ ევროპის ჩემპიონატის მერე პოსტს ვტოვებ. შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ სწორედ პენალტების სერიით დასრულდეს ჩემი სამწვრთნელო კარიერა. მაგრამ სხვა ალტერნატივაც არსებობს და ამისთვის თურქეთთან მოგება გვჭირდება“.

კოტე კეკელია

უეფამ მსაჯები ჩამონერა

გუშინ უეფამ ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის 13-15 ივნისს გასამართი მატჩების მსაჯთა ბრიგადების შემადგენლობა დაამტკიცა.

C ჯგუფი. 13 ივნისი

იტალია — რუმინეთი

არბიტრი: ტომ ჰენინგ ოვრებო; თანამსაჯები: გეირ აგე ჰოლენი, იან პეტერ რანდენი (ყველა — ნორვეგია); მეოთხე მსაჯი: ივან ბებეკი (ხორვატია)

ჰოლანდია — საფრანგეთი

არბიტრი: ჰერბერტ ფანდელი; თანამსაჯები: კარსტენ კადახი, ფოლკერ ვეცელი (ყველა — გერმანია); მეოთხე მსაჯი: ჟეგოჟ გილევსკი (პოლონეთი)

D ჯგუფი. 14 ივნისი

შვედეთი — ესპანეთი

არბიტრი: პიეტერ ვინკი; თანამსაჯები: ადრიან ინია, ჰანს ტენ ჰოვე (ყველა — ჰოლანდია); მეოთხე მსაჯი: კრეიგ თომსონი (შოტლანდია)

საბერძნეთი — რუსეთი

არბიტრი: რობერტო როზეტი; თანამსაჯები: ალესანდრო გრიზელი, პაოლო კალჩანიო (ყველა — იტალია); მეოთხე მსაჯი: ოლეგარიუ ბენკერენსა (პორტუგალია)

A ჯგუფი. 15 ივნისი

შვეიცარია — პორტუგალია

არბიტრი: კონრად პლაუცი; თანამსაჯები: ეგონ ბეროიტერი, მარკუს მაირი (ყველა — ავსტრია); მეოთხე მსაჯი: ივან ბებეკი (ხორვატია)

თურქეთი — ჩეხეთი

არბიტრი: პეტერ ფროიდფელდტი; თანამსაჯები: სტეფან ვიტბერგი, ჰენრიკ ანდრენი (ყველა — შვედეთი); მეოთხე მსაჯი: გჟეგოჟ გილევსკი (პოლონეთი)

კვარეშმა შანსის მოლოდინშია

ჩეხთა კარში მესამე გოლის ავტორ რიკარდუ კვარეშმას კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ პორტუგალიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად უმძიმესი კონკურენციის გადატანა მოუწევს.

„ჩვენს გუნდში კარგი ფეხბურთელების სიუხვეა, თითქმის ყველა პოზიციისთვის მწვავე ბრძოლაა გაჩაღებული და მეც შანსს ველი. ყოველთვის ვაცხადებდი, რომ სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის შანსისთვის თავდაუზოგავად ვიშრომებდი. მწვრთნელმა ათიოდ წუთი მიბოძა და მიხარია, რომ გოლი გავიტანე და გუნდის გამარჯვებაში წილი შევიტანე, თუმცა გუნდში კონკურენცია კვლავაც მაღალია. კაცს შრომა ყოველთვის უფასდება.



ჩვენი ნაკრების ყველა წევრი ასეთ დაძაბულ მატჩებს კარგადაა შეჩვეული. ამ ეტაპზე მთავარი ჯგუფიდან გასვლა იყო და მიზანს ღირსეულად მივაღწიეთ“ — განაცხადა კვარეშმამ.

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com



ობიექტი

დუისბურგელმა თურქებმა აი, ასეთი ზეიმი მოაწყვეს შვეიცარიელთა ძლევის მერე, ხოლო მათ შორის, ვისაც არ ეზეიმებოდათ, ეს წყვილიც იყო, თამაშის დასრულების მერე ძალიან, ძალიან დიდხანს რომ ვერ დატოვეს სტადიონი.

გულმკვდართა რიცხვს უნდა მივათვალოთ ჩეხი გულშემატკივარიც, რომლის სათაყვანებელი გუნდის მარცხიც მართლა საცოდაობა იყო.

შვეიცარიაში შვეიცარიელი გულშემატკივარი გერმანელმა პოლიციელმა დააკავა... რანაირად? შვეიცარიელებმა 5 ათასი გერმანელი პოლიციელი მიიწვიეს წესრიგის დასაცავად, ჩვენი პოლიციელები არ გვყოფნისო.

ფეხბურთი კი ყველაფერზე ძვირფასიაო, ამტკიცებენ აქციის მომწყობები, რომლებმაც ამისთვის „ფერარის“ გაფუჭებაც არ დაინანეს.





ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

C ჯგუფი. II ტური. დღეს

„ლეიციგრუნდი“, ციურიხი
იტალია — რუმინეთი

სავარაუდო შემადგენლობები

იტალია: ბუფონი; ძამბროტა, ბარცალი, კიელინი, გროსო; პირლო; გატუზო, დე როსი; კასანო, დელ პიერო; ტონი

მწვრთნელი: რობერტო დონადონი

რუმინეთი: ლობონტი; კონტრა, ტამაში, გოიანი, რაცი; რედოი; კოდრეა, კივუ; ნიკოლიცა, მუტუ, მარიკა

მწვრთნელი: ვიქტორ პიცურკა

მსაჯი: ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

ვინ დაითარსებს 13-ში?

დელ პიერო და კასანო: გარისკავს რობერტო დონადონი?

მთავარი გამოცანა ახლა ასეთია — რა შემადგენლობით ითამაშებს რობერტო დონადონი? ფაქტია, რომ ცვლილებები საჭიროა და ისიც თიტქმის გადაწყვეტილია, რომ ცვლილებები იქნება, მაგრამ რამდენი და როგორი, საკითხავი ესაა.

იტალიური პრესა ვარაუდობს, რომ ალესანდრო დელ პიერო ძირითად შემადგენლობაში დაიწყებს და შესაძლოა ჯანლუიჯი ბუფონის ნაცვლად კაპიტნის სამკლავურიც მოირგოს. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ჯიჯიმ ჰოლანდიასთან წაგებული მატჩის მერე თქვა, ბოლო 12 წელიწადში ასე საშინლად არ გვითამაშიაო და დონადონის ეს სწყენია.

ნახევარდაცვაში უპირობოდ ელიან დანიელე დე როსის გამოჩენას. შესაძლოა, სიმონე პეროტაც გამოჩნდეს ძირითად შემადგენლობაში. ამ შემთხვევაში მასიმო ამბროზინისა და ჯენარო გატუზოს სათადარიგოთა სკამზე დაჯდომა მოუწევთ.

მოგვიანებით დონადონი ალბათ თამაშში ჩართავს ანტონიო დი ნატალესა და მის სეხნია კასანოს. უნდა ველოდოთ ფაბიო გროსოსაც, რომელმაც წინა შეხვედრაში აშკარად გამოაცოცხლა აპენინელთა თამაში შეცვლაზე შესვლის შემდეგ. აი, რა იქნება დაცვის ცენტრში, ეს, ალბათ, გამოცანის გამოცანაა. ანდრეა ბარცალიმ და მარკო მატერაციმ კოშმარულად ითამაშეს, არის მცირე შანსი, რომ მათ მაგივრად ძირითადში ჯორჯო კიელინი და კრისტიან პანუჩი იქნებიან. თუმცა ერთ-ერთი მათგანი, სავარაუდოდ ბარცალი, მაინც დარჩება სასტარტო თერთმეტეულში.

„როცა დელ პიერო და კასანო თამაშობენ, გაცილებით შემტევები ვართ და ეს ნორმალურია. მათ ბევრის შექმნა შეუძლიათ და იმედია, გოლების გატანაში დამეხმარებიან. თუმცა ცუდი ის არის, რომ წინა შეხვედრაში ბოლო წუთებში, როცა ანტონიოც მინდორზე იყო, და ალესანდროც, მაინც ვერ გავიტანეთ“ — თქვა ლუკა ტონიმ.

ფაბიო გროსო: „ჩვენ არ ვართ დიდი ბავშვები, როგორც ზოგიერთებმა გვიწოდეს. ცუდი თამაშისთვის კრიტიკა მისაღებია, მაგრამ იყო გადამეტებული კომენტარები და, ფაქტობრივად, პირადი შეურაცხყოფა, რაც დაუშვებელია. იტალიური პრესა ხშირად იქცევა ასე და ამიტომ, არ მიყვარს ჟურნალისტებთან საუბარი. რუმინეთთან მატჩში შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს, მაგრამ არ გვეშინია. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულნი ვართ“.

რუმინეთი საფრანგეთთან ნათამაშები ფრით ძალიან კმაყოფილია და ვიქტორ პიცურკასგან განსაკუთრებულ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. ნაკრების ლიდერი ადრიან მუტუ კი ირწმუნება, რომ იტალიასთან რუმინელები გაცილებით უფრო შემტევი ტაქტიკით ითამაშებენ, მაგრამ არც თავდაცვა დაავიწყდებათ.

„ცხადია, თავს ყველანაირად დავიცავთ, როგორც შეგვეძლება, რადგან წაგება არ გვინდა. თუმცა ბევრად მეტს შევუტევთ, ვიდრე ამას საფრანგეთთან ვაკეთებდით. იმედია, იტალიასთან მატჩში ნამდვილ ადრიან მუტუს იხილავთ“ — აღნიშნა „ფიორენტინას“ თავდამსხმელმა.

რუმინელთა კაპიტანი კრისტიან კივუ: „იმედია, იტალიას კვლავ გარკვეული ხარვეზები ექნება დაცვაში, რითაც უნდა ვისარგებლოდ. საფრანგეთთან მატჩთან შედარებით, სხვაგვარად თამაშს ვაპირებთ“.

„არ ვიცი, რა მოხდება იტალიასთან, მაგრამ მჯერა, რომ კიდევ ერთხელ შეგვიძლია ჰოლანდიის დამარცხება. მიუხედავად იმისა, რომ „ნარინჯისფერებმა“ ტურნირი ბრწყინვალედ დაიწყეს. ასე რომ, თუ იტალიასთან არ წავაგებთ, ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი გქვექნება“ — თქვა რუმინელთა მცველმა კოზმინ კონტრამ.

საინტერესოა, რომ დღეს 13 რიცხვია და ეს რიგით მე-13 ევროპის ჩემპიონატის მე-13 მატჩია... თუმცა იტალიაში ეგრეთ წოდებულ თარს ციფრად 17-ს მიიჩნევენ...

გიორგი კაკაბაძე

„სტად დე სუისი“, ბერნი
ჰოლანდია — საფრანგეთი

სავარაუდო შემადგენლობები

ჰოლანდია: ვან დერ სარი; ოიერი, ბულარუზი, მატიისენი, ვან ბრონჰორსტი; დე იონგი, ენგელაარი; სნეიდერი, ვან დერ ვაარტი, კუიტი; ვან ნისტელროი

მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი

საფრანგეთი: კუპე; სანიოლი, ტურამი, გალასი, აბიდალი; ვიეირა, მაკელელე; რიბერი, მალუდა; ბენზემა, ანრი

მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

ნარინჯისფერი კომფორტში
საფრანგეთს გარისკვა მოუწევს

ფრანგებს ვიეირა და ანრი უბრუნდებიან

ამ უმნიშვნელოვანესი მატჩისგან ძალიან ბევრს ველით და ცხადია, საფუძველიც გვაქვს. თუმცა საფრანგეთმა უნდა გამოიღვიძოს, თორემ, თუ „მამლები“ ისევე მძიმედ ითამაშებენ, როგორც რუმინეთთან, ბრწყინვალე ფორმაში მყოფ ჰოლანდიასთან ძალიან გაუჭირდებათ.

ფრანგებს იმედი აქვთ, რომ პატრიკ ვიეირა და ტიერი ანრი, რომლებმაც რუმინეთთან ტრავმების გამო ვერ ითამაშეს, საბოლოოდ მომჯობინდებიან და ამ შემთხვევაში რაიმონ დომენეკი მათ ძირითად შემადგენლობაში დააყენებს.

„ალბათ, თამაშის სტილი უნდა შევცვალოთ და სწრაფ, მოკლე პასებზე გადავერთოთ, რაც მეტოქეს დაამცირებს. დაცვა და გოლის არგაშვება ძალზე მნშვნელოვანია, მაგრამ წინაც უნდა გავაქტიურდეთ, რადგან მოგება და ქულები გვჭირდება. ეს კი ნიშნავს, რომ რისკზე უნდა წავიდეთ“ — განაცხადა ფრანგმა მცველმა ვილიამ გალასმა.

რაიმონ დომენეკი:

„რასაკვირველია, ვიბრძოლებთ და ვეცდებით, ორ დარჩენილ მატჩში ქულების მაქსიმუმი მოვიპოვოთ. ჰოლანდიელებს ბრწყინვალე ნაკრები ჰყავთ, რომელიც ორგანიზებულ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობს“.

საფრანგეთს მოგება სჭირდება, თორემ ფრის ან, მით უმეტეს, წაგების შემთხვევაში, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

„ნარინჯისფერებს“ მოუმჯობინდათ არიენ რობენი, მაგრამ დააყენებს თუ არა მას ძირითად შემადგენლობაში მარკო ვან ბასტენი, უცნობია. იტალიასთან 3:0 მოგების შემდეგ, შემადგენლობაში ცვლილების შეტანა, ცოტა არ იყოს, მორალურად რთული იქნება.

„არიენი მწყობრშია, რაც ძალიან გვახარებს და მადლობას ვუხდი ექიმებს კარგი მუშაობისთვის. ძირითად შემადგენლობაზე ვერაფერს გეტყვით, გადაწყვეტილებას ყველაფრის შეჯამებით ვიღებ და ფიქრისთვის დრო ჯერ კიდევ მაქვს. იმედია, ტრავმები ტურნირის მსვლელობისას აღარ შეგვაწუხებს. ძალიან რთული მატჩი იქნება, რადგან საფრანგეთი დაცვაში მაქსიმალური ყურადღებით თამაშობს და სივრცეს თითქმის არ ტოვებს. თუმცა მეტოქეს ახლა ქულები სჭირდება და აქტიურად შეტევაც მოუწევს. იტალიასთან ბრწყინვალედ ვითამაშეთ და დამაჯერებლად მოვიგეთ, მაგრამ იგივეს გამეორება გაგვიჭირდება. ასეა თუ ისე, ჯგუფში ყველაზე კომფორტულ სიტუაციაში ჯერჯერობით ჩვენ ვართ“ — თქვა ვან ბასტენმა.

„ნარინჯისფერთა“ შემტევი ნახევარმცველი უესლი სნეიდერი: „იტალიასთან დიდებულად გამოვიყურებოდით და 3:0 მოვიგეთ. ცხადია, ფანები სიხარულისგან მეცხრე ცაზე არიან, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ჯერ არაფერი გვაქვს განაღდებული და მძიმე ბრძოლა გველის. ჩვენი მიზანი კვლავაც ფინალში გასვლაა, ამიტომ, მუშაობა მშვიდად უნდა გავაგრძელოთ“.

ეს ნაკრები 21-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, აქედან 9-ჯერ ჰოლანდიამ მოიგო, 8-ჯერ კი საფრანგეთმა. შესაბამისად, 4 შეხვედრა ფრედ მორჩა. „ნარინჯისფერებმა“ გაიტანეს 47 გოლი, „მამლებმა“ კი 34.

კოკი კანდელაკი

ჰოლანდია	1	1	0	0	3:0	3
რუმინეთი	1	0	1	0	0:0	1
საფრანგეთი	1	0	1	0	0:0	1
იტალია	1	0	0	1	0:3	0

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ_ შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

B ჯგუფი. II ტური

№11 ხორვატია 2:1 გერმანია

12 ივნისი. კლაგენფურტი (ავსტრია), „ვიორთერზეე", 30 461 მაყურებელი

1:0 სრნა (24), 2:0 ოლიჩი (62), 2:1 პოდოლსკი (79)

1 პლეტიკოსა

მწვრთნელი
სლავენ ბილიჩი

5 ჩორლუკა   4 რობ. კოვაჩი   3 შიმუნიჩი   22 პრანიჩი

14 მოდრიჩი   10 ნ. კოვაჩი

11 სრნა   7 რაკიტიჩი

19 კრანჩარი

18 ოლიჩი

11 კლოზე   9 გომესი

20 პოდოლსკი   4 ფრიცი

13 ბალაკი   8 ფრინგსი

2 იანსენი   17 მერტეზაკერი   21 მეცელდერი   16 ლამი

მწვრთნელი
იოახიმ ლიოვი

1 ლემანი

შეცვლა: იანსენი – 19. ოდონკორი (46), გომესი – 7. შვაინშტაიგერი (66), ოლიჩი – 21. პეტრიჩი (72), სრნა – 16. ლეკო (80), ფრიცი – 22. კურანი (82), კრანჩარი – 15. კნეჟევიჩი (85)

გაფრთხილება: სრნა (27), შიმუნიჩი (45), ბალაკი (75), ლეკო (90), ლემანი (90)

გაძევება: შვაინშტაიგერი (90)

მსაჯები: ფრანკ დე ბლეკერე (ბელგია); პეტერ ჰერმანსი (ბელგია), ალექს ვერსტრატენი (ბელგია)

16	ჯარიმა	16
7	კუთხური	7
3	კარისკენ დარტყმა	3
8	კარში დარტყმა	4
1	თამაშგარე	3
25,28 წთ	ბურთის ფლობა	32,48 წთ
43%	ბურთის ფლობა	57%

ხორვატია სიმაღლეზე და სად იყო მირო კლოზე?

ეგეც შენი მთავარი ფავორიტი! სლავენ ბილიჩს ზედმეტი არაფერი დაუკვეხია. გერმანიის დამარცხების შანსი გვაქვსო, თქვა და შანსი ფაქტად აქცია.

ბილიჩის გუნდი ლიოვისაზე აშკარად უკეთ მომზადებული გავიდა მოედანზე და იქიდან დამსახურებული სამი ქულა და ზღვა სიხარული გამოიტანა. კლაგენფურტის კოხტა სტადიონი გერმანელებს კი გამოევსოთ, მაგრამ არც ჭადრაკისფრები იყვნენ ცოტანი. 11 საუკუნის წინ მთავარ სვიატოსლავის მიერ ჭადრაკში მოგებულ მიწაზე აღმოცენებულმა ქვეყანამ ფეხბურთში მოგებაც ისწავლა. ჰოდა, ამაღამ გვარიანადაც მოილხინენ.

ლხინამდე კი იყო ოდნავი დაძაბულობა და მოლოდინი. გერმანია შანსის შექმნას ცდილობდა — ფავორიტი ხომ ის იყო და კიდეც უნდა შეეტია, ხორვატია კი შანსს ელოდა. ოც წუთზე მეტხანს საინტერესო ბევრიც არაფერი მომხდარა, მარიო გომესი თუ ჩარჩებოდა თამაშგარეში და გვერდითი მსაჯიც ისე ალამგაჯგიმული მოაბრუნებდა უკან, რომ ალბათ განავარდების ხალისს უკარგავდა.

ერთ მშვენიერ ხორვატულ ჩაწოდებას კი გოლიც მოჰყვა. გერმანელებს ლემანის წინ იმსიმაღლე ცენტრალური მცველები ჩაუმწკრივებიათ, რომ ჩიტიც ვერ უნდა გადააფრინდეთ თავზე, მაგრამ ხორვატული ბურთი კი გადააფრინდათ და თან არაერთხელ. დანიელ პრანიჩის მაღალი დაკიდებული დაბლა რომ დაეშვა, მერელა შენიშნეს, მაგრამ ამასობაში დარიო სრნამ ფეხი გაშალა და ბურთს მიაწვდინა, ლემანს კი კარიდან მისი გამოლება მოუხდა.

ეს რა დაგვემართაო და, გერმანია გაფუჭებულის გამოსწორებას შეუდგა. ლუკაშ პოდოლსკიმ ფლანგიდან ისე გაიწია, იმავ სრნას ფეხი რომ არ წაეცალა, პოლონური დუბლის ავტორი პოლონელ-გერმანელი გოლს თუ არა, ხიფათს მაინც შექმნიდა. ფავორიტებმა რამდენიმე იერიში კიდევ მიიტანეს, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი. ხორვატები ჯიუტად იცავდნენ საკუთარ ნახევარს და ხანდახან გერმანულ იერიშებს უხეშობითაც კლავდნენ, ოღონდ ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, რასაც სხვები არ აკეთებენ და რასაც მათი დამრიგებელი, სწორედ რომ უხეშობით „განთქმული" ბილიჩი არ უკეთებდა გერმანელთა წინა თაობას.

ამასობაში კიდევ ერთი ბურთი გადააფრინდა გერმანული დაცვის ცენტრს და კრანჩარსაც რომ სრნასავით ემარჯვა, მოხუც ლემანს მეორედ მოუწევდა კარში შეგორებული ბურთის ასალებად დახრა.

დაცვაში არ ვარგოდნენ, შეტევაში გარბოდნენო — იანსენზე და მეცელდერზე ითქმის. ამ უკანასკნელმა ნაკუთხურალს თავი კარგად კი დაუხვედრა, მაგრამ ოდნავ გადააცილა კარს. ხორვატებმა მეტოქეს შეტევა ხომ მოუკლეს და კონტრშეტევებზე გაცილებით მეტ ხიფათსაც ქმნიდნენ. კრანჩარს ისევ მიეცა შანსი, მაგრამ ლემანს გაარტყა.

გერმანელებმა ვერც მეორე ტაიმის დასაწყისში გატეხეს ადრიატიკული მარმარილოსავით მტკიცე ხორვატული დაცვა, იქით მიიღეს მეორე გოლი. მცველთა დასახმარებლად ჩასულმა პოდოლსკიმ მათ დათვური სამსახური გაუწია და უნებლიეთ ხორვატთა საგოლე შეტევაში მიიღო მონაწილეობა — რაკიტიჩის დარტყმულ-ჩაწოდებულს მიმართულება შეუცვალა, მისგან კი ბურთი ძელს მოხვდა და იქიდან ასხლეტილი მოუვიდა კარის წინ ჩასაფრებულ, მაგრამ მოულოდნელი საჩუქრით ოდნავ გაკვირვებულ ოლიჩს, ამასაც შეგორების მეტი აღარა დარჩენოდა რა.

პოდოლსკიმ დანაშაული სრულად გამოისყიდა: 79-ე წუთზე ერთი გოლი გაქვითა. მანამდე კი შეცვლაზე შესული შვაინშტაიგერი თუ წამოიწყებდა შეტევებს, თორემ სხვა გერმანელებს ხორვატებთან არაფერი გასდიოდათ. მთელი შეხვედრის განმავლობაში კამერათა ცენტრში იყო ბალაკი, მაგრამ გერმანელთა ლიდერმა მსაჯებისთვის და თანაგუნდელებისთვის ანჩხლი შეყვირებების გარდა ერთადერთი რამით დაგვამახსოვრა თავი — რაკიტიჩს კოჭში ფეხი ჩაარტყა და ყვითელი მიიღო.

კიდევ ერთი გერმანელი ვარსკვლავი კლოზე თურმე მოედანზე ყოფილა, მაგრამ ბოდიში და, ვერ შევნიშნეთ. მას და ბალაკს ორივეს ერთად ჯობდა განაპირა მცველი ფილიპ ლამი, ოღონდ ისიც ამაოდ წვალობდა. მოკლედ, ხორვატიამ უფრო მეტად დაიმსახურა ეს გამარჯვება, ვიდრე მჭლე ავსტრიასთან და თითქმის გაიძალდა მეოთხედფინალი.

გერმანიას კი, მარცხის გარდა, კიდევ ერთი ცუდი რამ შეემთხვა: თამაში რომ მთავრდებოდა, ნერვებმოშლილ შვაინშტაიგერს დროც აბიჯებდა ქუსლებზე და ხორვატი მცველი ვედრან ჩორლუკაც. დრო მიდის, არ ჩერდება და მას, აბა, რა უნდა დააკლოს შვაინშტაიგერმა, აი, ლეკოს კი მიუტრიალდა, სახეში მისცხო და ძირს დასცა. მსაჯმა ფრანკ დე ბლეკერემ არც აფრთხილა, არც აყვითლა, იქვე წითელი გაუჭიმა და მოედნიდან გააძევა. ისე, ლიოვს ძირითადისთვის მაინცდამაინც არ „ემეტებოდა", ჰოდა, ახლა ავსტრიასთან თამაშის წინ იმ ფიქრში აღარ გაილევიძებს, შვაინშტაიგერი სასტარტოში დავაყენო, თუ მერე შევუშვაო.

ირაკლი ფირაშვილი

შვაინშტაიგერი ამ გამოხტომისთვის გააძევეს...

ვინ რა თქვა

სლავენ ბილიჩი: „ორივე გუნდის ფეხბურთელებს მადლობას ვუხდი ამ უბრწყინვალესი საფეხბურთო მატჩისთვის. ჩემი აზრით, ფანტასტიკურად ვითამაშეთ. მოედნის ყოველ მონაკვეთზე თავდადებით ვიბრძოლეთ და მეტოქეს გასაქანი არ მივეცით. ჩვენმა დაცვითმა კვარტეტმა გერმანულ წნეხს ღირსეულად გაუძლო.

მიხაელ ბალაკი: „ამ მატჩზე იმ მცდარი შეგრძნებით გავედით, რომ უკვე რაღაცას მივაღწიეთ და დავისაჯეთ კიდეც. ყველა რგოლმა საცოდავად ითამაშა. ვიცოდით, რომ უხისტეს მეტოქესთან მოგვიწევდა ბრძოლა და ჩვენი გუნდის საქმისადმი ასეთმა არაპროფესიულმა მიდგომამ გამოლცა. მწარე დარტყმა მივიღეთ. მომდევნო მატჩი აუცილებლად მოსაგები გაგვიხდა.

გერმანიის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა კრისტოფ მეცელდერმა თავის მეწყვილე პერ მერტეზაკერს 17 პასი გაუკეთა. ერთით ნაკლები, 16 გადაცემა ლუკაშ პოდოლსკიმ ფილიპ ლამისგან მიიღო.

ყველაზე მეტი დარტყმა ნიკო კრანჩარმა შეასრულა (4) — ორჯერ იენს ლემანმა აუღო და ორჯერ კი ააცილა. ამის გარდა, ლემანმა კიდევ სამი სეივი განახორციელა.

ვიდრე შეცვლიდნენ, დარიო სრნამ ხორვატთა ექვსივე კუთხური მოაწოდა, მეშვიდე კი მისმა შემცვლელმა იერკო ლეკომ შეასრულა.

ამასთან, სრნამ თამაშის წესები 5-ჯერ დაარღვია, ამდენჯერვე გერმანელთა კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა შესცოდა.

მარიო გომესი 3-ჯერ აღმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში.

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

A ჯგუფი. II ტური

№12 ავსტრია 1:1 პოლონეთი

12 ივნისი. ვენა (ავსტრია). „ერნსტ ჰაპელი“. 51 428 მაყურებელი

0:1 გერეირო (30), 1:1 ვასტიჩი (90 პ)



შეცვლა: იოპი – 4. გოლაასკი (46), ივანშიცი – 7. ვასტიჩი (64), ლინცი – 18. ჯინასტი (64), აუფჰაუზერი – 19. ზაუმელი (74), საგანოვსკი – 17. ლობოძინსკი (83), გერეირო – 19 მურავსკი (85)

გაფრთხილება: ქორქმაზი (56), ვასილევსკი (58), კრჟინოვეკი (61), ჰრიოდლი (72), ბაკი (90)

მსაჯები: ჰოვარდ უები (ინგლისი); დარენ ჯენი (ინგლისი), მაიკლ მალარკი (ინგლისი)

13	ჯარიმა	25
9	კუთხური	8
6	ჯარის ჯენ დარტყმა	4
5	ჯარში დარტყმა	7
1	თამაშგარე	2
28,48 წთ	ბურთის ფლობა	26,3 წთ
53%	ბურთის ფლობა	47%

გაპოლონელებული ბრაზილიელის როჯერ გერეიროს გოლი მასპინძელთა კარში

ვიცით ივიცა

ავსტრიის შანსი უხუცესია

პირველი ტურის შემდეგ ფეხბურთში და სხვადასხვა ერის ხასიათებში კარგად გარკვეულმა თანამშრომელმა მითხრა, ავსტრიელები თითქმის უიმედოდ არიან, ისინი გერმანელებთან საბრძოლველად ემზადებიან და ნახე, რა ომი გაუმართონო. ახლა კი, რა ხდება: ავსტრიას ჯგუფიდან გასვლის შანსი გამოუჩნდა და საამისოდ იოზეფ ჰიკერსბერგერის შეგირდებს ბოლო ტურში იმ გუნდის დამარცხება მართებთ, ვისთან საომრადაც თავიდანვე ემზადებოდნენ. მართალია, მხოლოდ ეს არ იკმარებს, ხორვატიამაც არ უნდა წააგოს პოლონეთთან, მაგრამ მეოთხედფინალში გასვლის შანსი აქვს და ავსტრია მის ჩასაბღუჯად ისევე ბოლომდე იბრძოლებს, როგორც ეს წუხელ პოლონელებთან გააკეთა.

ძალიან ცოდო იქნებოდა ავსტრია, გუშინდელი შეხვედრა რომ წაეგო და საფეხბურთო ფორტუნამაც ალბათ ამიტომ არ გაწირა ევროჩემპიონატის თანამასპინძლები. სულ ბოლოს, მსაჯის დამატებული წუთებიც რომ იწურებოდა, მარცინ ვასილევსკი საჯარიმოში სებასტიან პრიოდლს ჩამოეკიდა და მსაჯმაც პოლონელთა კარში უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. შეცვლაზე შესულნა 39 წლის ივიცა ვასტიჩმა მთელი მატჩის განმავლობაში უბადლოდ მოხტუნავე არტურ ბორუცი გაღიმებული დატოვა და ევროჩემპიონატების ისტორიაში შეიქნა ყველაზე ხნიერი მეგოლე.

უკანასკნელ წუთზე, თანაც თერთმეტმეტრიანით გაშვებული გოლი ძალიან მწარეა, თუმცა პოლონელებმა მადლობა უნდა თქვან, რომ ეს მატჩი საერთოდ არ წააგეს. მასპინძლებმა პირველ ტაიმში იმდენი რეალური მომენტი შექმნეს, რომ მათი ნახევარიც რომ გაეტანათ, თამაშს უკვე შესვენებაზე ექნებოდა აზრი დაკარგული.

თამაში ახალი დაწყებული იყო, რომ ავსტრიელებმა საკუთარ კარს მიაჯაჭვეს პოლონელები და 20 წუთში სამჯერ მოახერხეს მეკარესთან პირისპირ გასვლა. პირველად პოლონელი მცველები შეცდნენ და მარტინ ჰარნიკმა ბორუცის მოტყუება ვერ შეძლო. ორიოდ წუთში იმავ ჰარნიკმა „კანფეტივით“ პასი მიიღო უმით ქორქმაზისგან და 3 მეტრიდან გატანა ვერ მოახერხა. არ გასულა დიდი დრო და კრისტოფ ლაიტგებმა იბრძოლა, მეკარეს პირისპირ შეეჩეხა, მაგრამ პოლონელები კვლავ ბორუცმა გადაარჩინა.

ავსტრია მოედნის სრული ბატონპატრონი იყო და იმდენსაც ბედავდა, რომ მეტოქეს თავისსავე მოედანზე პრესინგით ავიწროვებდა. და მოხდა საწინააღმდეგო — პოლონელებმა კარში პირველივე დარტყმულიდან გოლი გამოადნეს. ები სმოლიარეკის მიერ საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი მარეკ საგანოვსკიმ მკერდით იოლად მოარჯულა, დამცველი ჩამოიტოვა და იურგენ მახოს დაურტყა, მეკარემ უხეიროდ მოიგერია და დამატებაზე როჯერ გერეიერომ ივარგა. დაშავებული მაცეი ჟურავსკის ნაცვლად მოთამაშე გერეიროს გოლი ავსტრიელთა შტურმის შემაჩერებელი გამოდგა და მატჩიც თანაბარ ბრძოლაში გაგრძელდა.

ჰიკერსბერგერის შეგირდებმა ინერციით კიდევ რამდენჯერმე უჩხვლიტეს მეტოქეს, ზედ საპირველტაიმო სასტვენის წინ რეალური საგოლე მომენტი გაანიავეს და აშკარად საპოლონეთო შესვენება გამოცხადდა. სლავებმა საჭირო დარიგებები მიიღეს გამოცდილი ლეო ბეენჰაკერისგან და მეორე ტაიმში სულ სხვაგვარად ამოქმედდნენ. მართალია, თავადაც ვერ გაიტანეს, მაგრამ პოლონელებმა ავსტრიელები საკუთარ კარს აღარ გააკარეს და ბოლო წუთამდე წარმატებით ინარჩუნებდნენ სათავისო ანგარიშს, თუმცა...

ხორვატია გასულია, გერმანიას კი ბოლო ტურში ფრეც ჰყოფნის, მაგრამ ავსტრია სახლშია და საომრად ემზადება.

ირაკლი პერტაია

ბომბარდირები

დავიდ ვილია (ესპანეთი)	3
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)	3

ვინ რა თქვა

იოზეფ ჰიკერსბერგერი: „საწყის 20-30 წუთში კარგი მომენტები გვქონდა. მოდით, არ ვილაპარაკებ იმაზე, პოლონელთა გოლი თამაშგარედან გავიდა თუ არა და არც ჩვენს პენალტზე მინდა რამე ვთქვა. ჩემი პოზიციიდან ამას ვერ განვსჯი. ჩვენი გუნდის თამაშით კი კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა მაქსიმალურად მოინდომეს, მით უმეტეს, ახლაც ვადასტურებ, რომ პოლონეთი ძალიან ძლიერი ნაკრებია. “

ლეო ბეენჰაკერი: „თავიდან ცუდად დავიწყეთ, საწყის 20 წუთში გაგვიჭირდა, მაგრამ მერე მშვენიერი გოლი გავიტანეთ. მეორე ტაიმიც ძალიან კარგი იყო. ბოლო წუთზე გაშვებული პენალტი კი, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან მწარე იყო.“

საანგარიშო მატჩში მეტოქის კარზე სხვებზე მეტად დაგეშილი იაცეკ კრჟინოვეკი იყო. პოლონელმა ნახევარმცველმა კარშის მიმართულებით 6-ჯერ გაისროლა: სამჯერ იურგენ მახომ აუღო და ამდენჯერვე ააცილი. გარდა ამისა, კრჟინოვეკმა პოლონეთის ნაკრების 8-ვე კუთხური მოაწოდა.

ზემოთ მახო ვახსენეთ და, ავსტრიელმა კიპერმა პოლონელთა 6 დარტყმა მოიგერია.

კიდევ ერთი საინტერესო სტატისტიკური მონაცემი: მატჩის მსვლელობისას ყველაზე მეტი პასი ავსტრიელ განაპირა მცველ დიორდ გარიჩს დაუგროვდა — 68.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიახესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge